სასამართლო სისტემის საქმიანობის ანგარიში

2020-2023

შინაარსი

I. შესავალი 4

II. სასამართლო სისტემის პროგრესის აღიარება 5

III. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა 10

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები და სამართალშემოქმედებითი საქმიანობა 10

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა და პარლამენტისთვის წარდგენა 11

2.1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის დახვეწა 11

2.2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის/შეფასებისა და წარდგენის პროცესი 14

3. მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება პირველი (რაიონული/საქალაქო) და მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოებში 15

3.1. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესის დახვეწა 15

3.2. მოსამართლეთა განწესება პირველი (რაიონული (საქალაქო)) და მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოებში 16

3.3. თანამდებობაზე სამწლიანი უფლებამოსილების ვადით დანიშნულ მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება 17

4. მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება 17

5. მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერება 18

6. სასამართლოს მიუკერძოებლობის თვალსაჩინო ტენდენციები სამართალწარმოების პროცესში 18

IV. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა 23

1. დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლეთა მიმართ 23

1.1. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები 23

1.2. დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები 25

1.3. დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობა 27

2. სამოსამართლო ეთიკის წესების დახვეწა 28

3. ანგარიშვალდებულება მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე 28

V. ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა 29

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა 29

2. იუსტიციის მსმენელთა შერჩევა და მომზადება 30

3. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა განგრძობადი სწავლება 32

4. სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხის ზრდა 35

5. მოსამართლისა და სასამართლო მოხელის პროფესიის პოპულარიზაცია 38

6. მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში ჩართულობა 38

VI. ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა ... 39
1. საერთო სასამართლოების მართვა/ მენეჯმენტი ... 39
2. საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილება ... 39
3. სასამართლო სისტემის გადატვირთულობის დაძლევის მიზნით გატარებული ღონისძიებები ... 40
3.1. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა ... 40
3.2. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პრაქტიკაში დამკვიდრების ხელშეწყობა ... 41
4. საერთო სასამართლოებში შემოსულ საქმეთა რაოდენობა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლები ... 42
5. განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები ... 43
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესება ... 45
VII. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობა ... 46
1. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის ღონისძიებები ... 46
2. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ... 47
3. ვებგვერდებისა და ელექტრონული სერვისების გამართულობის უზრუნველყოფა ... 47
4. სასამართლოების საინფორმაციო ცენტრის შექმნა და ამოქმედება ... 48
5. შშმ პირებისთვის სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობა ... 49
6. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლო პროცედურების გაუმჯობესება და შესაბამისი გარემოს შექმნა სასამართლოში ... 51
7. სასამართლოში გენდერული მგრძნობელობის გაზრდის ხელშეწყობა ... 52
8. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაძლიერება ... 53
VIII. საერთაშორისო თანამშრომლობა ... 54
1. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის მიზნით შექმნილ საერთაშორისო და ადგილობრივ მექანიზმებში ჩართულობა ... 54
2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ... 55
3. სხვა სახელმწიფოების სასამართლო ორგანოებსა და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა ... 57
IX. სამომავლო გეგმები ... 61

I. შესავალი

სასამართლო სისტემამ განვითარების დიდი და მნიშვნელოვანი გზა განვლო. მოქალაქეებისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებულების, ხარისხის, ეფექტიანობისა და ხელმისაწვდომობის მიმართულებით. საკონსტიტუციო რეფორმის, სასამართლო რეფორმების ე.წ. „ოთხი ტალღისა“ და ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ჩამოყალიბდა და დაინერგა ახალი ინსტიტუტები და ინოვაციური მექანიზმები, მათ შორის, შეიქმნა სასამართლო სისტემის ინსტიტუციური და მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობლობის უმნიშვნელოვანესი გარანტიები - იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჩამოყალიბდა პოლიტიკურად სრულად ნეიტრალურ ორგანოდ, ამოქმედდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის სისტემა, კანონში დეტალურად გაიწერა ყველა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და თანამდებობაზე განწესების დამსახურებაზე დაფუძნებული, ობიექტური და გამჭვირვალე პროცედურა; გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულება და საქმიანობის გამჭვირვალობა; ამოქმედდა სასამართლოში საქმეთა შემთხვევითი ელექტრონული განაწილების სისტემა, რამაც შექმნა მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების პროცესის ყოველგვარი გარე ჩარევისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიები; ჩამოყალიბდა მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სრულიად ახლებური სისტემა - შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, დეტალურად განისაზღვრა მოსამართლეთა პასუხისმგებლობის საფუძვლები და სამართლიანი პროცესის გარანტიები.

საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი როლის გათვალისწინებით, სასამართლო სისტემისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ევროპულ ღირებულებებთან და სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება კვლავ რჩება ეროვნული დღის წესრიგის ერთ-ერთ პრიორიტეტად. სწორედ აღნიშნულის ერთ-ერთი გამოხატულებაა წინამდებარე ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ანგარიშვალდებული, ხარისხიანი, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

II. სასამართლო სისტემის პროგრესის აღიარება

სასამართლო სისტემის პროგრესს აღიარებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები:

➢ სასამართლოში კორუფციის არარსებობის მაჩვენებლით საქართველო რეგიონში ლიდერობს



მსოფლიო მართლმსაჯულების პროგრამის სამართლის უზენაესობის 2020 და 2021 წლების ინდექსით (WJP Rule of Law Index), რომელიც სახელმწიფოებსა და იურისდიქციებს მოსახლეობის, სამართლის პრაქტიკოსების, ექსპერტებისა და აკადემიის წარმომადგენლების გამოკითხვის საფუძველზე აფასებს, საქართველო რეგიონში ლიდერობს როგორც მთლიანად სასამართლო სისტემაში, ისე კონკრეტულად სისხლის სამართლის სისტემაში კორუფციის არარსებობის მაჩვენებლით.

სამართლის უზენაესობის 2022 და 2023 წლების ინდექსის მიხედვით, ქართულ სასამართლო სისტემასთან მიმართებით მაჩვენებლები კიდევ უფრო გაუმჯობესებულია. საქართველო რეგიონში მოწინავე ადგილს იკავებს როგორც მთლიანად სასამართლო სისტემაში, ისე კონკრეტულად სამოქალაქო მართლმსაჯულებაში კორუფციის არარსებობის მაჩვენებლით; სისხლის სამართლის სისტემაში კორუფციის არარსებობის მაჩვენებლით კი, პირველია არა მხოლოდ რეგიონში, არამედ საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოთა შორისაც.



ანგარიშის სრული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: rule-of-law-index

➢ მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქართველო საუკეთესო შედეგების მქონე ევროპულ სახელმწიფოთა შორისაა

SUSTAINABLE DEVELOPMENT REPORT

კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ 2021-2023 წლებში გამოქვეყნებული მდგრადი განვითარების ანგარიშების მიხედვით, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ 2015 წელს მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მდგომარეობას აფასებს, საქართველო, მართლმსაჯულებაზე წვდომის მაჩვენებლით, საუკეთესო შედეგების მქონე 25 ევროპულ სახელმწიფოთა შორისაა.

ანგარიშის სრული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: SDGindex/Georgia.

➢ ბიზნესის პოზიტიური დამოკიდებულება სასამართლო სისტემის მიმართ

„კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის (CRRC)" მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბიზნესი ნდობას უცხადებს სასამართლო სისტემას. ბიზნეს ორგანიზაციების უმრავლესობას პოზიტიური დამოკიდებულება აქვს სასამართლოს მიმართ და დადებითად აფასებს როგორც სასამართლოების მუშაობას, ისე მოსამართლეთა კომპეტენციასა და დამოუკიდებლობას.

კვლევის სრული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: Views of Businesses on the Court.

➢ სასამართლო სისტემა წინ მიიწევს ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციების შესრულების თვალსაზრისით

2021-2022 წლებში გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ ანტიკორუფციული შეფასების მე-4 ციკლის ფარგლებში საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მეორე ანგარიში და მისი დამატებითი ანგარიში.

GRECO
Committed to Fighting Corruption

GRECO დადებითად აფასებს საქართველოს პროგრესს მოსამართლეთა დანიშვნის წესების დახვეწის კუთხით. ორგანიზაციამ სახელმწიფოს მიერ სწორი მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებად მიიჩნია ახალი სამოსამართლო ეთიკის წესების მიღება და მის საფუძველზე მოსამართლეთათვის განახლებული სასწავლო მოდულის შემუშავება.

GRECO-ს ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებულად პოზიტიურად შეაფასა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმა, რომლის საფუძველზეც დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დისციპლინური სამართალწარმოების სისტემა და პროცედურები. სწორედ GRECO-ს რეკომენდაციის შესაბამისად, 2021 წელს განხორციელდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს, თუ მას მხარს უჭერს სრული შემადგენლობის უმრავლესობა. 2022 წლის ანგარიშის მიხედვით,

„GRECO მიესალმება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც აუქმებს დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებისთვის ორი მესამედის უმრავლესობის მოთხოვნას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეკომენდაციაში ასახული ერთ-ერთი ბოლო ელემენტის შესრულების მიმართულებით".

➢ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ქართული სასამართლო სისტემა ეფექტიანია



ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ქართული „სასამართლო სისტემა ეფექტიანია“, ხაზგასმით აღნიშნა ევროპის საბჭოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (MONEYVAL)” 2020 წელს საქართველოს შეფასების მეხუთე ციკლის ფარგლებში გამოქვეყნებულ ანგარიშში.

ანგარიში საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო ღონისძიებებს აფასებს.

ანგარიშის სრული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: MONEYVAL Report/Georgia

➢ სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების უპრეცედენტო კლება მიუთითებს, რომ საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებების სასამართლო წესით დაცვის მექანიზმები ეფექტურად ფუნქციონირებს

მართლმსაჯულების ლიბერალიზაცია და ბოლო წლებში განხორციელებული ფართომასშტაბიანი სასამართლო რეფორმა პირდაპირპროპორციულად აისახა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობის მკვეთრად კლებაზე. 2009 წელს სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი საჩივრები უტოლდებოდა **4049-ს**, მაშინ როცა 2023 წლის მდგომარეობით ეს რიცხვი **185**-მდე შემცირდა.



სასამართლო სისტემის პროგრესს აღიარებენ სასამართლოს უშუალო მომხმარებლები:

2022 წლის აპრილში საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოებში **გამოიკითხა სასამართლოების 2252 მომხმარებელი.** გამოკითხულთა

- **64%**-ზე მეტი დამოუკიდებლად მიიჩნევს სასამართლო სისტემას;
- თითქმის **68%** აცხადებს, რომ სასამართლო კორუფციისგან თავისუფალია;
- **70%** ენდობა სასამართლოს;
- **71%**-ზე მეტი მოსამართლეებს კომპეტენტურად თვლის.

დეტალურად კვლევის შედეგები იხ. დიაგრამის სახით:









სასამართლოს მომხმარებელთა კვლევები საქართველოს საერთო სასამართლოებში 2019 წლიდან ტარდება "ევროპის საბჭოს ქვეყნებში სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების გაზომვის კვლევისთვის" მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) სახელმძღვანელოში ასახული მეთოდოლოგიის საფუძველზე. კვლევის ფარგლებში რესპონდენტთა მიმართ დასმული შეკითხვები მიემართება სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, მართლმსაჯულების ხარისხის და ეფექტიანობის, ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის შეფასებას.

III. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომები და სამართალშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში აქტიურ საქმიანობას ეწეოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

2020-2021 წლების განმავლობაში, მიუხედავად კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განაგრძობდა სრული დატვირთვით ფუნქციონირებას, მართავდა სხდომებს და იღებდა გადაწყვეტილებებს.

2020-2023 წლების განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 154 სხდომა ჩატარდა. საბჭოს ყველა სხდომა ღია იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის - მათ ჰქონდათ საბჭოს სხდომების ფოტოგადაღების, ვიდეო და აუდიო ჩაწერის შესაძლებლობა. ღია სხდომებზე უზრუნველყოფილი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირის დასწრების შესაძლებლობა, ასევე სხდომის აუდიო ჩანაწერის ხელმისაწვდომობა. ჩატარებული 154 სხდომის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხოლოდ 7 საკითხი განიხილა დახურულ ფორმატში. აღნიშნული შვიდივე საკითხი ეხებოდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის საექსპერტო კომისიის წევრობის კანდიდატების შერჩევას, რაც კანონის თანახმად, ექვემდებარება დახურულ ფორმატში განხილვას.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად არის დაკომპლექტებული და უფლებამოსილებას 15 წევრის შემადგენლობით ახორციელებს.

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილება შევიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესში. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლში საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებით გაუქმდა აკრძალვა ერთი და იგივე პირის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ზედიზედ ორჯერ არჩევის თაობაზე, რომელიც ვრცელდებოდა საბჭოს როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრებზე. როგორც ვენეციის კომისიამ საქართველოს მიმართ 2013 წლის 11 მარტს გაცემულ დასკვნაში საბჭოს დაკომპლექტების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნა, „იუსტიციის საბჭოების შექმნის ლოგიკა გულისხმობს იმას, რომ მაქსიმალურად მცირე რაოდენობის შეზღუდვები დაწესდეს მოსამართლეთა უფლებაზე, აირჩიონ თავიანთ კოლეგებს შორის მათთვის სასურველი პირები, რომლებიც მათ წარმოადგენენ საბჭოში“. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევის უფლებამოსილების მქონე სუბიექტთათვის გაუმართლებელი ბლანკეტური შეზღუდვების გაუქმება ხელს შეუწყობს საბჭოს პროფესიული გამოცდილებისა და დამსახურების პრინციპზე დაყრდნობით დაკომპლექტების შესაძლებლობის გაზრდას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში 2023 წლის ივნისსა და ნოემბერში შეტანილი ცვლილებით მოწესრიგდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთი არამოსამართლე წევრის პარლამენტის მიერ კონკურსის საფუძველზე არჩევის პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, განისაზღვრა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის საჯარო სხდომაზე მოსმენის ვალდებულება. ასევე, პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, პარლამენტის მიერ საბჭოს წევრთა არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი ფარული კენჭისყრა ღია კენჭისყრით შეიცვალა. შესაბამისი ცვლილება აისახა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონშიც.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2023 წლის ივნისში შეტანილი ცვლილებების შედეგად, დადგინდა შეზღუდვა რომელიმე 3-თვიან პერიოდში საბჭოს 4-ზე მეტი მოსამართლე წევრის არჩევასთან დაკავშირებით. ამავე ცვლილებებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის არჩევის პროცედურაში მონაწილე საბჭოს წევრობის კანდიდატს მიენიჭა უფლებამოსილება, კენჭისყრამდე მიმართოს მოსამართლეთა კონფერენციას და წარუდგინოს თავისი ხედვა და მოსაზრება მისი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში მის მიერ საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ნორმატიული აქტის - დადგენილების გამოცემის უფლებამოსილება მიენიჭა. ორგანული კანონით განისაზღვრა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინდივიდუალური აქტია განკარგულება, ხოლო ნორმატიული აქტი - დადგენილება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა მის მიერ მიღებული განკარგულებების, მათ შორის, მოსამართლის კარიერასთან (თანამდებობაზე დანიშვნა, მივლინება, დაწინაურება და ა.შ.) დაკავშირებით მიღებული განკარგულებების დასაბუთების და საბჭოს სხდომაზე განსახილველი ნორმატიული აქტის პროექტის საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე.

კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020-2023 წლებში მიიღო 57 დადგენილება და 740 განკარგულება.

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა რამდენიმე საკანონმდებლო წინადადება, მათ შორის, წინადადება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა პარლამენტის მიერ არჩეული/პრეზიდენტის მიერ დანიშნული საბჭოს წევრის ანაზღაურებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხების დარეგულირებას, ასევე, საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავდა ნაფიცი მსაჯულების შერჩევის პროცესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების მოწესრიგებას. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ, 2021 წლის 31 აგვისტოს, ცვლილება შეიტანა „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებაში, რომლითაც დარეგულირდა ნაფიცი მსაჯულის სოციალური დაცვის საკითხები.

2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევა და პარლამენტისთვის წარდგენა

2.1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესის დახვეწა

2020 წლის 30 სექტემბერს, 2021 წლის 1 აპრილს და 2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის წესის დახვეწის მიზნით, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უპრეცედენტოდ გამჭვირვალე, ღია და დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევას.

უფრო კონკრეტულად:

- უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესი სრულად ღიაა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტში; კანონის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატების საჯარო მოსმენა ყველა კანდიდატის მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს აფასებენ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების საფუძველზე;

- კანდიდატების საჯარო მოსმენის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი კანდიდატების შეფასებისას წერილობით ასაბუთებს თითოეულ ქულასა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა, რაც საჯაროა და ქვეყნდება იუსტიცის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. ამასთანავე, თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არ შეაფასებს ყველა კანდიდატს და აღნიშნულ შეფასებებს დასაბუთებებთან ერთად არ გადასცემს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, ჩაითვლება, რომ იგი არ მონაწილეობს კანდიდატების შეფასების პროცედურაში. მის მიერ განხორციელებული ყველა კანდიდატის შეფასების შედეგები კი უქმდება;

- კანდიდატთა შეფასებებისა და ამ შეფასებების დასაბუთებების გამოქვეყნების შემდეგ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატთა შერჩევის ბოლო ეტაპზე (კენჭისყრის ეტაპზე) გადამსვლელ კანდიდატთა სიას ადგენს კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით შეფასებისას კანდიდატთა მიერ დაგროვებული ქულების (საუკეთესო სარეიტინგო მაჩვენებლების) მიხედვით და არა კენჭისყრის საფუძველზე;

- შეიცვალა პარლამენტისათვის კანდიდატების წარდგენის მიზნით იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კენჭისყრის გამართვის წესი, რაც უზრუნველყოფს პარლამენტისთვის მხოლოდ იმ კანდიდატების წარდგენას, რომლებმაც კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით შეფასებისას საუკეთესო შედეგები მიიღეს. კერძოდ, პირველ რიგში, კენჭი ეყრება კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ამ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატს, შემდეგ კი, იმავე პრინციპის დაცვით, თანამიმდევრობით ეყრებათ კენჭი დანარჩენ კანდიდატებს. ამასთანავე, თუ რომელიმე კანდიდატმა კენჭისყრისას ვერ მოიპოვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის მხარდაჭერა, დანარჩენ კანდიდატებს კენჭი აღარ ეყრებათ. იმ შემთხვევაში თუ ორი ან ორზე მეტი კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მათ მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი თანაბარია, კენჭისყრის რიგითობის განსაზღვრისას მათ შორის უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეტმა წევრმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უკეთესად შეაფასა, ხოლო თუ ეს შეფასებებიც თანაბარია, – იმ კანდიდატს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს;

- კენჭისყრა ღიაა, ხოლო საბჭოს წევრი ვალდებულია კენჭისყრისას დაფიქსირებული ნებისმიერი პოზიცია დაასაბუთოს, მიუხედავად იმისა, მხარი დაუჭირა თუ არა მან კანდიდატს. ამასთანავე, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საბჭოს რომელმა წევრმა რომელ კანდიდატს დაუჭირა/არ დაუჭირა მხარი კენჭისყრაში, ასევე, კენჭისყრისას დაფიქსირებული პოზიციების დასაბუთება საჯაროა და ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე;

- მოსამართლეობის კანდიდატებს უფლება აქვთ შერჩევის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში;

- კანდიდატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების (განკარგულება/წარდგინება) გასაჩივრების შემთხვევაში, შერჩევის პროცედურა შესაბამის ეტაპზე ჩერდება, ვიდრე უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა გადაწყვეტილებას არ მიიღებს;

- მოსამართლეობის კანდიდატებს შესაძლებლობა აქვთ საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივრონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახლა მიღებული გადაწყვეტილება. კერძოდ, თუ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ გააუქმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში მიღებული განკარგულება/წარდგინება და საქმე დააბრუნა ხელახლა განსახილველად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახალი განკარგულება/ხელახალი წარდგინება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების გასაჩივრების უფლება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის/კანდიდატების შერჩევის ყოველ შესაბამის ეტაპზე მოქმედებს მანამ, სანამ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა არ მიიღებს გადაწყვეტილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების/წარდგინების უცვლელად დატოვების თაობაზე;

- მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში მოქმედებს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მაღალი სტანდარტი. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ოჯახის წევრი, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა ან მშობელი, აღნიშნული წევრი არ სარგებლობს კანდიდატების შეფასებისა და ხმის მიცემის უფლებით პროცედურის არცერთ ეტაპზე;

- დარეგულირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ხელახალი განკარგულების/ხელახალი წარდგინების მიღების პროცესში საბჭოს აცილებული წევრის მონაწილეობის საკითხი. კერძოდ, თუ საჩივრის განხილვის შედეგად უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ დაადგინა, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო, მისი მიდგომა დისკრიმინაციული იყო ან მან გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა კანდიდატის უფლებები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეს წევრი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ხელახალი განკარგულების/ხელახალი წარდგინების მიღების პროცესში აღარ მონაწილეობს;
- უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატებთან საჯარო მოსმენის სამართლიანი და ეფექტიანი წარმართვის საკითხების დარეულირების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 9 დეკემბერს N16 დადგენილებით დაამტკიცა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა საჯარო მოსმენის გამართვის წესი“.

2.2. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის/შეფასებისა და წარდგენის პროცესი

საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის კონკურსი სამჯერ გამოაცხადა, საერთო ჯამში 11 ვაკანტურ თანამდებობაზე.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან გასაუბრება ორმოცდაათმა კანდიდატმა გაიარა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, COVID 19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, ყველა კანდიდატის საჯარო მოსმენა წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დარბაზში. გასაუბრების პროცესი წარიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 დეკემბრის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე პირთა საჯარო მოსმენის გამართვის წესის“ შესაბამისად. გასაუბრებები ჩატარდა კანდიდატების მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვით, სადაც საბჭოს თითოეულ წევრს ჰქონდა შესაძლებლობა კითხვებით მიემართა კანდიდატებისთვის. თითოეულ კანდიდატთან გასაუბრების პროცესი, საშუალოდ, 4-5 საათს გრძელდებოდა. საჯარო მოსმენის პროცესი

იყო ღია და მას ესწრებოდა ყველა დაინტერესებული პირი, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების დამკვირვებლები, მათ შორის, OSCE/ODIHR-ის მონიტორინგის ჯგუფის წევრები. ამასთან, საჯარო მოსმენის პროცესი ცოცხალ რეჟიმში გადაიცემოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს youtube არხის მეშვეობით. უზრუნველყოფილი იყო საზოგადოების წვდომა ინტერვიუების აუდიო-ვიდეო ჩანაწერებზე, რამაც კიდევ უფრო გამჭვირვალე გახადა პროცესი.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნული კონკურსი, კანდიდატების შეფასებისა და შერჩევის პროცესის ყველა მომდევნო ეტაპის ჩათვლით, წარიმართა 2021 წლის 1 აპრილის ცვლილების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ 2021 წლის 1 აპრილის საკანონმდებლო ცვლილება ყველა კანდიდატზე თანაბრად გავრცელდა, მიუხედავად იმისა, კონკურსში მონაწილეობის განაცხადი საკანონმდებლო ცვლილებამდე შეიტანა თუ მას შემდეგ. კანდიდატების შეფასებისას საბჭოს წევრების მიერ წერილობით დასაბუთდა თითოეული ქულა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, სადაც მიეთითა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი, ასევე, ინდივიდუალურად, წერილობით იქნა დასაბუთებული კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავდა კონკრეტული კანდიდატის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობის თაობაზე მსჯელობას. კანდიდატთა შეფასებები და ამ შეფასებათა დასაბუთებები, საბჭოს წევრთა ვინაობის მითითებით, ასევე კენჭისყრის შედეგები, საბჭოს წევრთა მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებათა დასაბუთებები, აგრეთვე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება, ორგანული კანონით დადგენილი წესით გამოქვეყნდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

კანონის შესაბამისად დადგენილი გასაჩივრების უფლებით ისარგებლა ერთმა კანდიდატმა, რომელმაც გაასაჩივრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი განკარგულება, მოითხოვა მისი გაუქმება და საბჭოს წევრებისათვის კანდიდატთა

ხელახალი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი შეფასების, სათანადო დასაბუთების დავალება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე შემდგომი არჩევის მიზნით, წარედგინა მოსამართლეობის 11 კანდიდატი.

კანონმდებლობის შესაბამისად, კანდიდატებთან გასაუბრება პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ჩატარდა, ღია, საჯარო და გამჭვირვალე პროცესის პრინციპების დაცვით. ყველა საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიას, სახალხო დამცველის, იურიდიული დახმარების სამსახურის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აკადემიური და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ უშუალოდ ჩართულიყვნენ გასაუბრების პროცესში და დაესვათ შეკითხვები კანდიდატებისთვის. თითოეული კანდიდატის საკომიტეტო მოსმენა რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა და ნებისმიერ პირს (საერთაშორისო და შიდა ორგანიზაციები, მოქალაქეები და ა.შ.), ვინც კი წინასწარ გამოთქვა დასწრების სურვილი, შესაძლებლობა მიეცა დასწრებოდა გასაუბრების პროცესს. კანდიდატებთან დაკავშირებით მოპოვებული შესაბამისი მასალები, დოკუმენტები და ინფორმაცია, ასევე კანდიდატის არჩევის პროცესთან დაკავშირებული პროცედურული დოკუმენტები და ინფორმაცია გამოქვეყნდა პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე. თითოეული საკომიტეტო მოსმენა და პარლამენტის მიერ კანდიდატების არჩევის პროცესი გადაიცემოდა ლაივ სტრიმის მეშვეობით რამაც უზრუნველყო საზოგადოების მხრიდან პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა.

საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა რვა კანდიდატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევას, ხოლო სამი კანდიდატი არ აირჩია. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კანდიდატებად რეგისტრირებულ პირთა სიაში მითითებული კანდიდატებიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შეირჩა სამი კანდიდატი და პარლამენტს წარედგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად. შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდგომ, საქართველოს პარლამენტმა სამივე მათგანი აირჩია უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.

2021 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი თერთმეტივე კანდიდატი უვადოდ განწესდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.

2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, უზენაეს სასამართლოში განწესებულია 27 მოსამართლე. ვაკანტურია მოსამართლის ერთი საშტატო ერთეული. უზენაესი სასამართლოს 27 მოსამართლიდან 24 მოსამართლე უვადოდ არის განწესებული.

3. მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება პირველი (რაიონული/საქალაქო) და მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოებში

3.1. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესის დახვეწა

2023 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც პირველი (რაიონული (საქალაქო)) და მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესება განხორციელდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული ცვლილებით

განმტკიცდა მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების უპრეცედენტოდ გამჭვირვალე პროცესის გარანტიები.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის 30 დეკემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებით, მოიხსნა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის საწყის ეტაპზე კანდიდატის მიერ მითითებული ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და კანდიდატის შეზღუდვა და საბჭოს არანაკლებ 3 წევრს მიენიჭა უფლება, კენჭისყრის დასრულების შემდეგ, კანდიდატის თანხმობით, მიმართოს საბჭოს, რათა ამ კანდიდატს ხელახლა ეყაროს კენჭი მიმდინარე კონკურსის ფარგლებში ვაკანტურად დარჩენილ რომელიმე თანამდებობაზე. ამ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელახალი კენჭისყრის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს დამსწრეთა უმრავლესობით, ხელახალი კენჭისყრა კი საერთო წესით ჩატარდება.

3.2. მოსამართლეთა განწესება პირველი (რაიონული (საქალაქო)) და მეორე ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოებში

იუსტიციის უმაღლესი საბჭო განაგრძობს სასამართლო სისტემის დაკომპლექტებას კვალიფიციური, კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოსამართლეებით. 2020-2023 წლებში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი ხუთი კონკურსი ჩატარდა. კონკურსების შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 98 მოსამართლე. აღნიშნული 98 მოსამართლიდან 44 თანამდებობაზე განწესდა უვადოდ.

თანამდებობაზე განწესებული 98 მოსამართლიდან 53 იუსტიციის მსმენელი, 9 ყოფილი და 36 მოქმედი მოსამართლე იყო. უფრო დეტალურად:

- სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 99 ვაკანტურ თანამდებობაზე 2020 წლის ივნისში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში თანამდებობაზე განწესდა 36 მოსამართლე, მათ შორის 24 იუსტიციის მსმენელი, 8 ყოფილი და 4 მოქმედი მოსამართლე;
- სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 85 ვაკანტურ თანამდებობაზე 2021 წლის თებერვალში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში თანამდებობაზე განწესდა 44 მოსამართლე, მათ შორის 19 იუსტიციის მსმენელი, 1 ყოფილი და 24 მოქმედი მოსამართლე;
- სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე 2021 წლის მარტში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში თანამდებობაზე განწესდა 3 მოსამართლე, რომელთაგან ყველა იუსტიციის მსმენელი იყო;
- სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 42 ვაკანტურ თანამდებობაზე 2021 წლის აგვისტოში გამოცხადებული კონკურსის

ფარგლებში თანამდებობაზე განწესდა 7 მოსამართლე, მათ შორის 6 იუსტიციის მსმენელი და 1 მოქმედი მოსამართლე;

- სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 76 ვაკანტურ თანამდებობაზე 2022 წლის ნოემბერში გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში თანამდებობაზე განწესდა 8 მოსამართლე, მათ შორის 1 იუსტიციის მსმენელი და 7 მოქმედი მოსამართლე.

ზემოთ ჩამოთვლილი კონკურსების ფარგლებში, მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულების უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გასაჩივრების უფლებით ისარგებლა მხოლოდ ერთმა კანდიდატმა. საკვალიფიკაციო პალატამ კანდიდატის საჩივარი არ დააკმაყოფილა.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში თანამდებობაზე განწესებულია 305 მოსამართლე, რომელთაგან უვადოდ არის დანიშნული 276 მოსამართლე, ხოლო 3-წლიანი უფლებამოსილების ვადით - 29 მოსამართლე.

3.3. თანამდებობაზე სამწლიანი უფლებამოსილების ვადით დანიშნულ მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა 3 წლის ვადით დანიშნული 80 მოსამართლის მიმართ მოამზადეს 342 შეფასების დასკვნა. შეფასების პროცედურების დასრულების შედეგად, თანამდებობაზე უვადოდ განწესდა 50 მოსამართლე.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლის თანამდებობაზე სამწლიანი უფლებამოსილების ვადით დანიშნულია 29 მოსამართლე, რომელთა მიმართაც შეფასების პროცედურები კვლავ გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დამატებით განისაზღვრა სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით 3 წლის ვადით თანამდებობაზე განწესებული მოსამართლის შეფასებისას გასათვალისწინებელი ახალი ელემენტი. კერძოდ, დადგინდა, რომ მოსამართლის შეფასებისას შემფასებლის მიერ მხედველობაში ასევე უნდა იქნეს მიღებული შესაფასებელი მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენების სისწორე და რელევანტურობა.

4. მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი კონკრეტულად განსაზღვრავს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ყველა საფუძველს. საანგარიშო პერიოდში ორგანული კანონით განსაზღვრული საფუძვლებით თანამდებობიდან გათავისუფლდა I და II ინსტანციის სასამართლოების 40 მოსამართლე.

დეტალურად იხ. ცხრილი:

I და II ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება

გათავისუფლების საფუძველი	სხვა სასამართლოში არჩევა	65 წლის ასაკს მიღწევა	გარდაცვალება	პირადი განცხადება	ვადის გასვლა
მოსამართლეთა რაოდენობა	13 მოსამართლე	15 მოსამართლე	6 მოსამართლე	2 მოსამართლე	4 მოსამართლე

5. მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერება

2020-2023 წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა მოსამართლეთა შრომის ყოველთვიური ანაზღაურება. 2023 წლის დეკემბრის მონაცემებით, 2019 წელთან შედარებით, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ყოველთვიური ანაზღაურება 31-50%-ით არის გაზრდილი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შრომის ყოველთვიური ანაზღაურება კი - 24%-ით.

ნიშანდობლივია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არ აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საჭირო ხარჯებს.

განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე დადგინდა, რომ მოსამართლეთათვის გადასახდელი საცხოვრებელი ბინის ქირის ზღვრული ოდენობები არ პასუხობდა საცხოვრებელი ბინის ქირის ბაზარზე არსებულ ფასებს. შესაბამისად, 2023 წლის 2 ივნისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო განკარგულება და გაზარდა მოსამართლეებისათვის სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად დაქირავებული ბინებით სარგებლობისთვის გადასახდელი ყოველთვიური ქირის ზღვრული ოდენობა (მაგ: თბილისის მუნიციპალიტეტში - 955 ლარიდან გაიზარდა 1080 ლარამდე; თელავის მუნიციპალიტეტში - 600 ლარიდან გაიზარდა 750 ლარამდე და ა.შ.). აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფით, მათთვის ცხოვრებისა და საქმიანობის ღირსეული პირობების შექმნით იყო მოტივირებული.

6. სასამართლოს მიუკერძოებლობის თვალსაჩინო ტენდენციები სამართალწარმოების პროცესში

სასამართლოს მიუკერძოებლობაზე ნათლად მეტყველებს გამამართლებელი განაჩენების უპრეცედენტო ზრდა. 2020-2023 წლებში გამამართლებელი განაჩენი დადგა 2392 პირის მიმართ, რაც თითქმის 11-ჯერ აღემატება 2009-2012 წლებში გამართლებულ პირთა რაოდენობას.

იხ. დიაგრამა:



სტაბილურად იკლებს შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებებში პატიმრობის ხვედრითი წილი. თუ 2009-2012 წლებში შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებებში პატიმრობის მაჩვენებელი საშუალოდ 50% იყო, 2020-2023 წლებში ის 41%-მდე შემცირდა.

იხ. დიაგრამა:



აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევები ყოველწლიურად კლებულობს. თუ 2009-2012 წლებში სასამართლო პროკურატურის შუამდგომლობების საშუალოდ 84%-ს აკმაყოფილებდა, 2020-2023 წლებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 49%-მდე შემცირდა.



სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცენტულმა მაჩვენებელმა 2020-2023 წლებში საშუალოდ 23% შეადგინა, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 2009-2012 წლებში საშუალოდ 44%-ს უტოლდებოდა.

იხ. დიაგრამა:



საანგარიშო პერიოდში შენარჩუნებულია პროკურატურის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხის სასამართლოს მიერ შემცირების ტენდენცია. თუკი 2012-2015 წლებში

პროკურატურის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხა შუამდგომლობების 55%-ში შემცირდა, 2020-2023 წლებში ასეთი შუამდგომლობების რაოდენობამ 78% შეადგინა.

იხ. დიაგრამა:



საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის სახდელდადებულ პირთა რაოდენობა. მაშინ როცა 2012-2015 წლებში ადმინისტრაციული სახდელი დაედო სამართალდამრღვევთა საშუალოდ 82%-ს, 2020-2023 წლებში ეს რიცხვი 54%-მდე შემცირდა.



საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყვეტილი საგადასახადო

დავების რაოდენობა. 2020-2023 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოებში ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყდა საგადასახადო დავების საშუალოდ 28%. 2009-2012 წლებში ეს მაჩვენებელი 21%-ს შეადგენდა.



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წლების განმავლობაში შენარჩუნებულია ადმინისტრაციული (მათ შორის, საგადასახადო) დავების ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყვეტის დადებითი ტენდეცია. გამონაკლისი არც საანგარიშო პერიოდი ყოფილა. 2023 წლის მონაცემებით, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყდა განხილული დავების 68%, ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ კი - მხოლოდ 30%. მათ შორის, საგადასახადო დავების 64% ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა, ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ კი - 32%.



უკანასკნელი წლების მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ საშუალოდ, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საჩივრდება პირველ ინსტანციაში შემოსული სამოქალაქო

საქმეების დაახლოებით 1,4%, ადმინისტრაციული საქმეების 7% და სისხლის სამართლის საქმეების 6%, რაც სასამართლოს მიმართ მომხმარებელთა ნდობაზე მეტყველებს.

იხ. დიაგრამა



IV. ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

1. დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლეთა მიმართ

1.1. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

დისციპლინური სამართალწარმოება, როგორც სასამართლოს ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვანი ელემენტი, სასამართლოს ავტორიტეტისა და საზოგადოებაში სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის დაცვის ინტერესს ემსახურება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის.

დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2021 წლის 30 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, შემცირდა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. კერძოდ, დამოუკიდებელ ინსპექტორს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ინფორმაციის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისთვის 1 თვის ვადა განესაზღვრა (ნაცვლად ორგანული კანონის ძველი რედაქციით დადგენილი 2-თვიანი ვადისა), რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს. აღნიშნული ვადის განმავლობაში უნდა მიიღოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომაც მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება.

მოსამართლისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დასრულდეს - მოსამართლე პასუხისგებაში მიეცეს ან მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდეს - 1

თვის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირით. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, სადისციპლინო კოლეგიამ ასევე 1 თვის ვადაში უნდა განიხილოს დისციპლინური საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება. სადისციპლინო პალატის შემთხვევაში კი, საქმის განხილვის ვადა საჩივრის წარმოებაში მიღებიდან 15 დღით არის განსაზღვრული, იმ პირობით, რომ, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად 15 დღით გაგრძელდეს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით შემოღებულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე გადაწყვეტილების სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღების წესი.

აღნიშნული ცვლილება ვენეციის კომისიის მიერ საქართველოს მიმართ გაცემული რეკომენდაციით იყო მოტივირებული. კერძოდ, კომისიის განმარტებით, „დისციპლინური სამართალწარმოების ინიცირებისთვის კვალიფიციური უმრავლესობის (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი მესამედის უმრავლესობის) დადგენა ქმნის სერიოზულ საფრთხეს იმისა, რომ ძალზედ ბევრი საჩივარი დარჩება რეაგირების გარეშე ასეთ ადრეულ ეტაპზე... იუსტიციის საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების ყველა საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად დაწესებული ხმათა 2/3-ის უმრავლესობა ზედმეტად მაღალი მოთხოვნაა. დისციპლინური სამართალწარმოების უფრო ქმედითი სისტემის დასამკვიდრებლად, საჭიროა, ეს მოთხოვნა შეიცვალოს უბრალო უმრავლესობით“. აღსანიშნავია, რომ, ვენეციის კომისიის მსგავსად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების უბრალო უმრავლესობით მიღების რეკომენდაცია საქართველოს ანტიკორუფციული შეფასების მეოთხე ციკლის ფარგლებში კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფმაც (GRECO) გასცა. შესაბამისად, დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიღების წესის შემოღებამ სრულად უპასუხა ზემოხსენებულ რეკომენდაციებს.

ორგანულ კანონში 2021 წლის 30 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით, დისციპლინურ გადაცდომებს დაემატა გადაცდომის ახალი სახე - მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით, რაც მოსამართლის და სასამართლოს მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვას ემსახურება, რამდენადაც პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოთქმამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის შელახვა. მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის 13 ივნისს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით კიდევ უფრო დაკონკრეტდა აღნიშნული გადაცდომის სახე და განისაზღვრა, რომ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევად არ მიიჩნევა სასამართლო რეფორმის შესახებ ან/და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე მოსამართლის მეცნიერული ან ანალიტიკური მსჯელობა.

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, შემოღებულ იქნა დისციპლინური სახდელის ახალი სახე - კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოსამართლის შესაბამის პროგრამაში ჩართვა. სანქციის ახალი სახის შემოღება ემსახურება დისციპლინური სახდელების მრავალფეროვნების გაზრდას, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი დისციპლინური გადაცდომის შესატყვისი, პროპორციული სახდელის შერჩევა. ამასთან, ცვლილებებით განხორციელდა სახდელთა დიფერენცირება ძირითად და დამატებით სახდელებად, რაც დისციპლინური გადაცდომის შინაარსის გათვალისწინებით, დისციპლინური სახდელის შემფარდებლისთვის უფრო ნათელს ხდის, თუ რა შემთხვევაში შესაძლებელია დაკისრებულ იქნეს ძირითადი და დამატებითი სახდელები.

საკანონმდებლო ცვლილებით შეიცვალა დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხის განმხილველი კოლეგიის დაკომპლექტების წესი. კერძოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხს განიხილავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3 წევრით (2 მოსამართლე და 1 არამოსამართლე წევრით) დაკომპლექტებული კოლეგია.

ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებებით ახლებურად მოწესრიგდა მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების წესი და პროცედურა. კერძოდ, შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე უარყოფითი ზემოქმედების გამორიცხვის მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო აღიჭურვა უფლებამოსილებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე და საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერის შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის საქმეთა განხილვისაგან ჩამოცილების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მიმართოს სადისციპლინო კოლეგიას, თუ მოსამართლის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ შესაბამის თანამდებობაზე მოსამართლის დარჩენით ხელი შეეშლება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას. თუ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია გაიზიარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებას და მიიჩნევს, რომ არსებობს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ შესაბამის თანამდებობაზე მოსამართლის დარჩენით ხელი შეეშლება შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის წარმოების საბოლოოდ დასრულებამდე მოსამართლის საქმეთა განხილვისგან ჩამოცილების შესახებ. საწინააღმდეგო შემთხვევაში საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური გარანტიები და უფლებამოსილებები. კერძოდ, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების უფლება თავად დამოუკიდებელ ინსპექტორს მიენიჭა. აღნიშნულმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური საჩივრის ახალი ფორმა დაამტკიცა. საჩივრის ფორმაში შეიცვალა დისციპლინური გადაცდომის სახეები და გაიწერა ის რეკვიზიტები, რომელთა შევსებასაც ორგანული კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს. საჩივარი განთავსებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისი ასლის მიღება შეუძლია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის კანცელარიაში.

1.2. დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ოთხი სხვადასხვა სუბიექტი მონაწილეობს - დამოუკიდებელი ინსპექტორი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა.

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს, აგრეთვე, დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმებასა და გამოკვლევას ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი. მოსამართლის მიმართ განხორციელებული წინასწარი შემოწმებისა და მოკვლევის შედეგებს ინსპექტორი დასკვნისა და მოსაზრების სახით წარუდგენს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რის შემდგომაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. დისციპლინური დევნის დაწყების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხს. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში საქმეს განიხილავს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგია, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.

ამასთან, დამოუკიდებელი ინსპექტორი, კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა განსახილველად მიიღო 742 დისციპლინური საჩივარი. აღნიშნული საჩივრების განხილვის საფუძველზე ინსპექტორმა მიიღო 340 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან აქტის კანონიერების საფუძვლით სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის მიზნით მოამზადა 555 დასკვნა.

2023 წლის დეკემბერში წარმოდგენილ 12 საჩივარზე დისციპლინური საქმის წინასწარი გამოკვლევისთვის კანონით განსაზღვრული ვადა არ დასრულებულა.

იხ.დიაგრამა:



საანგარიშო პერიოდში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილი 369 დასკვნა და მიიღო 419 გადაწყვეტილება, მათ შორის: 391 გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის და 28 გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ.[1]

ამასთან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ წარდგენილი 15 საქმე, საიდანაც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 საქმეზე მოსამართლის მიმართ შეწყვიტა დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 3 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

აღნიშნული 3 საქმე, რომელიც ეხებოდა 3 მოსამართლის ბრალეულობას, განსახილველად გადაეცა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას. მათგან ორ საქმეზე, რომელიც ორი მოსამართლის ბრალეულობას ეხებოდა, სადისციპლინო კოლეგიამ მოსამართლეები ბრალეულად ცნო დისციპლინური სახდელის ჩადენაში და მათ სახდელის სახედ შენიშვნა და საყვედური დააკისრა, ხოლო ერთ საქმეზე, რომელიც ერთი მოსამართლის ბრალეულობას ეხებოდა, სადისციპლინო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ.

სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა ერთმა მოსამართლემ. სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებით, საჩივარი განუხილველი დარჩა.

1.3. დისციპლინური სამართალწარმოების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობა

დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობისა და საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპის ამსახველი სრული სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის, 2020-2023 წლების სტატისტიკური ინფორმაცია (statistics/hcoj.gov.ge).

საანგარიშო პერიოდში განახლდა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი (https://dis.court.ge/), რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესისა და პროცედურების შესახებ, დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი აქტები, აგრეთვე, საჩივრის ფორმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე 3 თვეში ერთხელ პროაქტიულად ქვეყნდება სტატისტიკური ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის (მიღებული საჩივრების, მომზადებული დასკვნების, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების და სხვ.) შესახებ. ოფიციალურ ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები, რომლებშიც სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, განზოგადებული სახით არის წარმოდგენილი მოსამართლეთა მიმართ წარმოებული დისციპლინური საქმეები.

---

[1] დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე ინდივიდუალურად იღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.

გარდა ამისა, 2020 წლის 27 ნოემბრიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც, ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ცხელ ხაზზე შემოსული იყო 580-ზე მეტი ზარი.

დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა საანგარიშო პერიოდში არაერთი შეხვედრა ჩაატარა ადვოკატებთან, სტუდენტებთან, სამოქალაქო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან.

2. სამოსამართლო ეთიკის წესების დახვეწა

სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების განმტკიცების მიზნით, შემუშავდა სამოსამართლო ეთიკის განახლებული წესები, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სამოსამართლო ეთიკის წესების განახლებაზე მუშაობა 2019 წლიდან დაიწყო. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პროცესის მაქსიმალური ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად დაკომპლექტდა სამივე ინსტანციის სასამართლოების წარმომადგენელი მოსამართლეებით. პირველ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფს დონორი ორგანიზაციების (ევროპის საბჭოს პროექტი, ევროკავშირის პროექტი, USAID/PROLoG) მხარდაჭერით, საერთაშორისო ექსპერტებმა წარუდგინეს სამოსამართლო ეთიკის არსებული წესებისა და პრაქტიკის გაანალიზების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სამოსამართლო ეთიკის განახლებული წესების პროექტი, რომელიც დეტალურად იქნა განხილული სასამართლო სისტემის, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პროექტი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა კონფერენციას წარუდგინა, რომელმაც, საბოლოოდ, სამოსამართლო ეთიკის განახლებული წესები 2021 წლის 31 ოქტომბერს დაამტკიცა.

დამტკიცებულ დოკუმენტში ასახული სახელმძღვანელო პრინციპების, ღირებულებებისა და დებულებების ეფექტური რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2023 წლის 24 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სამოსამართლო ეთიკის წესების კომენტარებს. სამუშაო ჯგუფი უახლოეს მომავალში დაასრულებს კომენტარებზე მუშაობას, რითაც სასამართლო სისტემა სრულად უპასუხებს ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ საქართველოს ანტიკორუფციული შეფასების მეოთხე ციკლის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას.

3. ანგარიშვალდებულება მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე

საანგარიშო პერიოდში მოსამართლეთა სამი კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციების ფარგლებში, სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად, მიღებულ იქნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევის გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშვალდებულების ფარგლებში, 2021 წლის 31

ოქტომბერსა და 2022 წლის 23 ოქტომბერს, მოსამართლეთა კონფერენციას წარედგინა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ყოველწლიური ანგარიშები. მოსამართლეთა კონფერენციამ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოისმინა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის ყოველწლიური ანგარიშებიც.

V. ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

1. მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის პრიორიტეტად რჩება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების მაღალი სტანდარტით ორგანიზება. აღნიშნულ მიზანს ემსახურება მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისა და შერჩევის ელექტრონული სისტემა, რომელიც 2014 წელს დაინერგა და რომელიც უზრუნველყოფს პროცესისადმი მაღალ სანდოობას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მუდმივად ზრუნავს საგამოცდო საკითხების მომზადების მეთოდოლოგიაში მის მიერ შერჩეულ ექსპერტთა გადამზადებაზე. ამ მიზნით, 2020 წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩეული ოცი მოსამართლე-ექსპერტისთვის განხორციელდა ინტენსიური სასერტიფიკატო პროგრამა საკვალიფიკაციო გამოცდის საკითხების მომზადების მეთოდოლოგიაში, რომელიც USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა (NAEC) შეიმუშავა.

გამოცდის მიმართ ინტერესს მუდმივად იჩენენ როგორც კვალიფიციური, ისე დამწყები იურისტები, ვინაიდან მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება პროფესიული კვალიფიკაციის ფლობის დადასტურების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

საანგარიშო პერიოდში საკვალიფიკაციო გამოცდა ხუთჯერ ჩატარდა. გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები: განახლდა საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობა, გადაიხედა საგამოცდო დავალებების ბაზა და შეიქმნა ახალი დავალებები. გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა მაქსიმალური ინფორმირებულობისათვის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფდა ოფიციალურ ვებგვერდზე ტესტური და წერითი გამოცდის დავალებების ნიმუშების გამოქვეყნებას. საანგარიშო პერიოდში ყველა გამოცდა ჩატარდა ელექტრონული ფორმით, ელექტრონული სისტემის მიერ გამოსაცდელისთვის ინდივიდუალურად შერჩეული საგამოცდო დავალებების მეშვეობით. შესაბამისი ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა გამოსაცდელმა პირმა გამოცდის შედეგები გამოცდის დასრულებისთანავე შეიტყოს. შედეგებით უკმაყოფილო პირებს საშუალება მიეცათ, მიემართათ გამოცდის საპრეტენზიო ჯგუფისთვის.

დეტალური ინფორმაცია გამოცდების შედეგების თაობაზე იხ. ცხრილის სახით:

გამოცდა	გამოცდაზე რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	წარმატებულ გამოსაცდელთა სრული რაოდენობა	სპეციალიზაცია		
			სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი	სისხლის სამართალი	საერთო
2020 წ.	205	21	15	6	-
2022 წ. მაისი	367	40	31	7	2
2023 წ. მარტი	226	40	28	12	-
2023 წ. ივნისი	197	52	28	23	1
2023 წ. სექტემბერი	188	42	17	25	-

2. იუსტიციის მსმენელთა შერჩევა და მომზადება

სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღის ფარგლებში მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით.

2019 წლის 13 დეკემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებით, იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის ჩატარების უფლებამოსილება იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს მიენიჭა. აღნიშნული ფუნქცია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლეს სკოლას დაეკისრა მსმენელთა მიღების პროცესის მარეგულირებელი ნორმების შემუშავების ვალდებულება.

ახლებურად დარეგულირდა იუსტიციის მსმენელთა მიღებისა და სასწავლო პროგრამის რიგი საკითხები:

- შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების წესი. კერძოდ, დამოუკიდებელი საბჭო შედგება 7 წევრისგან; საბჭოს 3 წევრი საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციიდან წარმოდგენილი თითო მოსამართლეა, რომელთაც ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია. დამოუკიდებელი საბჭოს 2 წევრს (1 მოსამართლე წევრს და 1 არამოსამართლე წევრს) ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან, ხოლო დანარჩენი ორი წევრი აირჩევა, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალიდან. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო დაკომპლექტებულია სწორედ აღნიშნული წესის შესაბამისად;

- იუსტიციის მსმენელების მოსამზადებელი სასწავლო კურსის ხანგრძლივობა 10 თვიდან 16 თვემდე გაიზარდა; ხოლო მათთვის, ვისაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოების აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება აქვს, სასწავლო კურსის ვადად განისაზღვრა 12 თვე;
- გაუმჯობესდა იუსტიციის მსმენელების სტაჟირების პროგრამა. კერძოდ, მას შემდეგ რაც იუსტიციის მსმენელი დაასრულებს თეორიულ კურსს და ჩააბარებს შესაბამის გამოცდას, მას შეუძლია გაიაროს სტაჟირების პროგრამა არა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, არამედ - საერთო სასამართლოების სისტემაში, საკონსტიტუციო სასამართლოში, ნოტარიატში, პროკურატურაში, ადვოკატურაში და ა.შ.;

საკანონმდებლო ცვლილებებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, 2023 წლის 31 მაისს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ დაამტკიცა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ახალი წესდება, რომლითაც დეტალურად მოწესრიგდა იუსტიციის მსმენელობის კანდიდატთა რეგისტრაციის პირობები, შერჩევის ეტაპები, ასევე ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მსმენელობის კანდიდატთა შეფასება (საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები, მორალური რეპუტაცია, პიროვნული თვისებები, პროფესიული უნარ-ჩვევები, კვალიფიკაცია, მტკიცებისა და გამოხატვის უნარი, ანალიტიკურ-ლოგიკური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი) და მათი განმარტებები.

გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა განახლებული 16-თვიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც მთლიანად დაფუძნებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning პროექტის - „სამოსამართლო სწავლების ხელშეწყობა ტვინინგის მეშვეობით“ (“Strengthening Judicial Training Through Twinning”) ფარგლებში მომზადებულ რეკომენდაციებზე. პროგრამა ადაპტირებულია, ასევე, 12-თვიან სასწავლო პროგრამაზე.

2020-2023 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა სამი ჯგუფი (XVI, XVII და XVIII ჯგუფები) ჩაირიცხა. მსმენელთა XVI ჯგუფმა (10 მსმენელის შემადგენლობით), რომელიც იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ივნისის დადგენილებით იყო ჩარიცხული, სწავლება დაასრულა 2021 წლის 23 ივლისს. სკოლის დამამთავრებელი გამოცდა წარმატებით ჩააბარა ათივე მსმენელმა.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად მიღებული განახლებული პროცედურით, დამოუკიდებელი საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით ჩაირიცხა იუსტიციის უმაღლესი სკოლაში XVII ჯგუფი (30 მსმენელის შემადგენლობით), დამოუკიდებელი საბჭოს 2023 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი - XVIII ჯგუფი (19 მსმენელის შემადგენლობით). მსმენელთა ორივე (XVII და XVIII) ჯგუფი სწავლებას განახლებული სასწავლო პროგრამით გადის.

იუსტიციის მსმენელთა XVII და XVIII ჯგუფების სწავლის ხანგრძლივობის შესახებ მონაცემები იხ. ცხრილის სახით:

კურსის ხანგრძლივობა	მსმენელთა XVII ჯგუფი	მსმენელთა XVIII ჯგუფი
12-თვიანი სწავლება	15 მსმენელი	12 მსმენელი
16-თვიანი სწავლება	15 მსმენელი	7 მსმენელი

3. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა განგრძობადი სწავლება

იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის მთავარ პრიორიტეტად რჩება მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთა უზრუნველყოფა თანამედროვე მეთოდოლოგიებზე და სტანდარტებზე დაფუძნებული განგრძობადი განათლებით. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი სკოლა მუდმივად ზრუნავდა საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის, გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის) მიერ გაცემული რეკომენდაციების ფარგლებში, მოსამართლეებისათვის და სასამართლოს სხვა მოხელეებისათვის შესაბამისი ტრენინგების შემუშავება/გაუმჯობესებაზე, მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულების შემუშავება/დახვეწაზე.

იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ წარმატებით გაართვა თავი 2020 წელს COVID-პანდემიის შედეგად წარმოშობილ გამოწვევებს. მოსამართლეთა და მოხელეთა უწყვეტი პროფესიული გადამზადების უზრუნველსაყოფად, სკოლამ გაატარა არაერთი ინტენსიური ღონისძიება და სწრაფ რეჟიმში შეიმუშავა გადამზადების ონლაინ პლატფორმა, რამაც ხელი შეუწყო სამიზნე ჯგუფების ტრენინგებით უზრუნველყოფას ყოველგვარი შეფერხების გარეშე. კორონავირუსის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით, 2020-2021 წლებში ტრენინგების უმრავლესობა დისტანციურ რეჟიმში ჩატარდა.

2020-2023 წლების განმავლობაში, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიმუშავა 16 სასწავლო მოდული და ორგანიზება გაუწია 249 ტრენინგს.

მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთათვის სასწავლო მოდულები შემუშავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის:

- მედიაცია;
- სექსუალური შევიწროება;
- უმცირესობათა უფლებები;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი;
- ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლი;
- ტრენერთა ტრენინგი HELP-ის კურსის გამოყენებაზე;
- ევროკავშირის სამართალი;
- გარდამავალი მართლმსაჯულება;
- ველურ ბუნებასთან დაკავშირებული დანაშაული და გარემოსდაცვითი კანონმდებლობა საქართველოში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები საქართველოში;
- ლტოლვილთა სამართალი;
- სქესობრივი დანაშაული;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;
- მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- დანაშაულისა და ძალადობის მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით საქმეთა განხილვა სასამართლოში;
- ორგანიზებული დანაშაული (ფულის გათეთრება, ტერორიზმი და სხვა).

დეტალური ინფორმაცია მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების 2020-2023 წლების პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებისა და ტრენინგების მონაწილეთა შესახებ, იხ. ცხრილის სახით:

2020 წელი			
	მოსამართლეებისთვის	მოხელეებისთვის	გაერთიანებული
ტრენინგების რაოდენობა	47	7	4
ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა	1147	120	92
2021 წელი			
	მოსამართლეებისთვის	მოხელეებისთვის	გაერთიანებული
ტრენინგების რაოდენობა	30	25	22
ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა	501	510	539
2022 წელი			
	მოსამართლეებისთვის	მოხელეებისთვის	გაერთიანებული
ტრენინგების რაოდენობა	33	19	11
ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა	438	306	175
2023 წელი			
ტრენინგების რაოდენობა	25	13	13
ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა	329	236	18

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტრენინგებისა, 2020-2023 წლებში, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ ორგანიზება გაუწია 16 ტრენერთა ტრენინგს (TOT) ქართველი მოსამართლე-ექსპერტებისთვის.

იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში, მოსამართლეები აქტიურად მონაწილეობდნენ HELP-ის პლატფორმის ფარგლებში განხორციელებულ დისტანციურ კურსებში. 2021-2022 წლებში მოსამართლეთათვის და მოხელეთათვის განხორციელდა დისტანციური სწავლების შემდეგი კურსები:

- არასათანადო მოპყრობის აკრძალვის თაობაზე სამართალდამცავი, უსაფრთხოების და სხვა იძულებითი ზომების გამოყენების კონტექსტში;
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ქალებისათვის;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა;
- ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;

- საპროცესო გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში და დაზარალებულთა უფლებები;
- სასამართლოში გადაწყვეტილების მიღება და ადამიანის უფლებები.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ორგანიზებითა და დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, 2022 წლის 20 ოქტომბერს, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიმართა კვლევის პრეზენტაცია - „სასამართლო კარს მიღმა - მოსამართლეების საგანმანათლებლო საჭიროებები“. კვლევის მიგნებების საფუძველზე, ამავე ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, შემუშავდა და დაინერგა ახალი სასწავლო მოდულები:

- სამშენებლო სამართალი;
- ოჯახში ძალადობა;
- ვალდებულებითი სამართლის პრობლემატური საკითხები.

პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში ორჯერ მოეწყო მართლმსაჯულების სკოლა სასამართლო მოხელეებისა და სასამართლო სისტემის საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. მართლმსაჯულების სკოლა უნიკალური პლატფორმაა, რომელიც სასამართლო მოხელეებს ცოდნის გამდიდრებისა და სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევების განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. პროექტის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ, კვალიფიციური ექსპერტებისგან მიიღონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების სფეროში ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, დისკრიმინაციის აკრძალვის, გამოხატვის თავისუფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ.

მოსამართლეთა განგრძობადი განათლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2022 წელს განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმადაც, მოსამართლის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის სავალდებულო კომპონენტი უნდა იყოს ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, საკითხების სწავლება. ორგანული კანონის მოთხოვნის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამართლეთა გადამზადების ყოველწლიური პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგებს შემდეგ საკითხებზე:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (სამოქალაქო/ ადმინისტრაციული);
- გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები;
- ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;
- ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი /სამოქალაქო–ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება);
- დისკრიმინაციის აკრძალვა-შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები;
- ევროპის კავშირის სასამართლო პრაქტიკა;
- შშმ პირთა კომუნიკაციის სტანდარტები და სასამართლო პროცესზე ინფორმაციის მარტივად და გასაგებად მიწოდება;
- შშმ პირთა უფლებები;

- ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმები შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ;
- საერთაშორისო კერძო სამართალი;
- მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით;
- სექსუალური შევიწროვება;
- თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები;
- ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა;
- სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით (მე-6 მუხლის სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები);
- სქესობრივი დანაშაული.

4. სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის ხარისხის ზრდა

სასამართლო სისტემა ინტენსიურად მუშაობს სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხის ზრდაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით, აღსანიშნავია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2022 წლის 18 ოქტომბერს შეტანილი ცვლილება, რომლის გათვალისწინებითაც, ევროკომისიამ შესრულებულად ჩათვალა საქართველოს მიმართ 2022 წლის 17 ივნისს გამოცემული დასკვნის მე-11 პუნქტით გაცემული რეკომენდაცია საქართველოს სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინებისთვის კანონმდებლობის მიღების თაობაზე.

კერძოდ, ევროკომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, ორგანული კანონით განისაზღვრა, რომ "სააპელაციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევაზე ორიენტირებული სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პერიოდული ანალიზი და აღნიშნული მიმართულებით საინფორმაციო საქმიანობისა და საგამომცემლო საქმიანობის განხორციელება".

ორგანული კანონით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმატებით ფუნქციონირებს ანალიტიკური განყოფილება, რომელიც საერთო სასამართლოებს უწევს მნიშვნელოვან სამართლებრივ და ანალიტიკურ მხარდაჭერას. განყოფილება აერთიანებს **ადამიანის უფლებათა ცენტრსა** და **კვლევისა და ანალიზის ცენტრს.**

ადამიანის უფლებათა ცენტრი უზრუნველყოფს უცხო ქვეყნების კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის შესწავლას, ასევე საერთაშორისო სასამართლოების, მათ

შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებას, გადაწყვეტილებათა შესწავლას, თარგმნასა და მიმოხილვას. ცენტრის კომპეტენციაში შედის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საძიებო სისტემის (HUDOC) ქართულენოვანი ინტერფეისის მართვაც.

საანგარიშო პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- ცენტრში შევიდა **330 მომართვა** მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა მხრიდან. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრი სამართლებრივ მხარდაჭერას უწევს არა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს, არამედ სხვა სასამართლოებსაც. საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა ანალიტიკური დოკუმენტები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, უცხო სახელმწიფოთა კანონმდებლობის, ევროსაბჭოს კონვენციების, გაეროს, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტების საფუძველზე.

- საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ითარგმნა და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი 44 გადაწყვეტილება.

- HUDOC-ის ქართულ ინტერფეისზე განთავსების მიზნით, ითარგმნა და დარედაქტირდა როგორც საქართველოს, ასევე სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ განხილული **295** საქმე (გადაწყვეტილებები და განჩინებები).

- ითარგმნა და გამოიცა საქართველოს წინააღმდეგ საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სამი კრებული, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების სამი კრებული.

- ითარგმნა და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ექვსი გზამკვლევი ევროპული კონვენციის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით (მათ შორის, „სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან დაკავშირებით (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება)“, „გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები“, „გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით“ და სხვ.).

ანალიტიკური განყოფილების **კვლევისა და ანალიზის ცენტრი** შეისწავლის ეროვნული სასამართლო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და ამზადებს და გამოსცემს კვლევებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში 15 კვლევა/განზოგადება მომზადდა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე (მათ შორისაა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები (დამცავი ორდერები)“; „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი სტანდარტები ლანსაროტის კონვენციისა და სხვა საერთაშორისო აქტების ჭრილში“; „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებები სამოქალაქო სამართალში“; გაეროს ქალთა ორგანიზაციისა (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) პროგრამის „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ ფარგლებში მომზადებული კვლევა „სასამართლო

პრაქტიკის ანალიზი ადევნების და ქორწინების იძულების დანაშაულებზე (2018-2022)“ და სხვ.).

აღსანიშნავია, რომ კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ ასევე მომზადდა ეროვნული სასამართლო პრაქტიკის განზოგადების 112 კრებული (მათ შორის, სისხლის სამართლის სფეროში - 16 კრებული, სამოქალაქო სამართლის სფეროში - 48 კრებული, ადმინისტრაციული სამართლის სფეროში - 48 კრებული).

ანალიტიკური სამსახური ფუნქციონირებს თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც. მისი მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კვლევა, უახლესი პრეცედენტული გადაწყვეტილებების და საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების თარგმნა (სამართლებრივი შეჯამებების სახით), კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისი საერთაშორისო ან უცხო ქვეყნების სასამართლოების პრაქტიკის დამუშავება და თარგმნა და თემატური კვლევების მომზადება. აღნიშნულ საქმიანობაში აქტიურადა არის ჩართული თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროც.

საანგარიშო პერიოდში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ანალიტიკური სამსახურის და თავმჯდომარის ბიუროს თანამშრომლობით, შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- მოსამართლეთა მოთხოვნის შესაბამისად, მომზადდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის 53 თემატური კვლევა (დისკრიმინაცია, შეუწყნარებლობის მოტივი, გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები კონვენციის მე-10 მუხლის ჭრილში, პირადი ცხოვრების პატივისცემის ზოგიერთი ასპექტი, ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის უფლების ზოგიერთი ასპექტი, მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებები, შრომითი უფლებები და სხვ.);

- მომზადდა შვიდი კვლევა, რომლებიც, საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის გარდა, მოიცავს უცხო ქვეყნების კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს (სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტის, ადმინისტრაციულ სამართალში ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლების, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში რეკლამირების, ბავშვის ქონებრივი უფლებების, შრომითი დავების, სოციალურ ქსელში გამოხატვის თავისუფლების ფარგლების და შშმ პირთა უფლებების შესახებ);

- ითარგმნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამი კვლევა (მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თემატური კომპილაცია „არასრულწლოვანთა დაცვა (სისხლის სამართალი)“, „ბავშვის უფლებები“ და „სექსუალური ორიენტაციის საკითხები“) და ორი სახელმძღვანელო, მათ შორის, სახელმძღვანელო პრინციპები კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით (სამოქალაქო სამართალი);

- ქართულ ენაზე მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხილულ საქმეებზე მიღებული 20 გადაწყვეტილება/განჩინება (სამართლებრივი შეჯამების სახით);

- მოსამართლეთა მოთხოვნის შესაბამისად ან/და პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, ქართულ ენაზე მომზადდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 193 მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სამართლებრივი შეჯამება, რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება კი ითარგმნა სრულად.

ორგანული კანონის მოთხოვნის შესაბამისად, 2023 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის ფუნქციის მქონე

სტრუქტურული ერთეული ასევე შეიქმნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ანალიტიკური სამსახური 2024 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას.

5. მოსამართლისა და სასამართლო მოხელის პროფესიის პოპულარიზაცია

მართლმსაჯულებისა და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფისა და სასამართლო სისტემაში არსებული პროფესიების თაობაზე ცნობადობის ამაღლების მიზნით, კოვიდ პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქებისთანავე, სასამართლოებში განახლდა მოსწავლეებისა და სტუდენტების ვიზიტებისა და იმიტირებული პროცესების მასპინძლობის პრაქტიკა. მაგალითისათვის, 2023 წლის განმავლობაში, სასამართლოებში 172 ვიზიტი და 73 იმიტირებული პროცესი მოეწყო.

სასამართლო ტურების ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეხვედროდნენ მოსამართლეებს, დაესვათ შეკითხვები და აქტიურად ჩართულიყვნენ დისკუსიაში, მოესმინათ ინფორმაცია სასამართლო სისტემის, მისი ფუნქციონირებისა და მოსამართლის როლის შესახებ, ტურის დასასრულს კი, დაეთვალიერებინათ სასამართლო სხდომის დარბაზები.

სასამართლო ტურებთან ერთად, საერთო სასამართლოებში გაგრძელდა იმიტირებული პროცესების ჩატარებაც. საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა სასამართლოში არაერთი იმიტირებული პროცესი ჩატარდა როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.

6. მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში ჩართულობა

საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2020 წლის 16 ივლისს დაარსდა მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო (Bench Bar) - ინსტიტუციონალიზებული პლატფორმა, რომელიც მიზნად ისახავს იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა შორის რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების გზით მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობას, იურიდიული პროფესიის გაძლიერებას, პროფესიათა შორის ურთიერთპატივისცემის, ჯანსაღი კოლეგიალური დამოკიდებულების და საერთო ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრებში მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები მონაწილეობენ. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საბჭოს შეხვედრები შეეხებოდა სხვადასხვა აქტუალურ სამართლებრივ საკითხებს როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. შეხვედრების ფარგლებში განხილულ იქნა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრობლემური საკითხები, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები, ასევე, მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით აქტუალური სხვა სამართლებრივი საკითხები.

VI. ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა

1. საერთო სასამართლოების მართვა/ მენეჯმენტი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის პრიორიტეტია სასამართლოების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის საკითხების დახვეწა. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელიც სწორედ ამ მიზნებისთვის შეიქმნა და ნაყოფიერად ფუნქციონირებს.

ახალი მიდგომების დანერგვის მიზნით, სასამართლოების მმართველი რგოლის აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასამართლოს მენეჯერების პერიოდული შეხვედრის (ფორუმის) ფორმატმა კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. სასამართლოს მენეჯერების ფორუმი ერთ-ერთ ყველაზე ქმედით მექანიზმს წარმოადგენს, როგორც ცენტრალურად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დონეზე შემუშავებული მართვის პოლიტიკის დანერგვის, ისე ადგილზე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი აღმოფხვრის გზების მოძიების თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის (ევროპის საბჭოს) მხარდაჭერით სასამართლოს მენეჯერების ფორუმი სამჯერ გაიმართა და განხილულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

2. საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილება

საქმეთა ავტომატური განაწილების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას ზედამხედველობას უწევს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.

პროგრამის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 1 მაისს №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ ცვლილება რამდენჯერმე შეიტანა. მათ შორის, აღსანიშნავია 2022 წლის 30 ნოემბრის №38 დადგენილებით შესული ცვლილება, რომლის საფუძველზე გაიზარდა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების, სხვა სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის, იმავე სასამართლოს სხვა კოლეგიაში/პალატაში დანიშვნის, იმავე სასამართლოს კოლეგიის/პალატის სხვა სპეციალიზაციაში გადასვლის, სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების, ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლის საქმეთა განაწილების მაჩვენებელი 100%-ით. წარმოდგენილი ცვლილება ხელს უწყობს მოსამართლეთა დატვირთულობის გათანაბრებას და შესაბამისად, აღნიშნული სასამართლოს კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში არსებულ მოსამართლეთა დატვირთულობის შემცირებას, საბოლოო ჯამში კი, ემსახურება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნის მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული განაწილების პროგრამა მუშაობს გამართულად და 2020-2023 წლების განმავლობაში სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით 2020 წელს სამივე ინსტანციის სასამართლოში განაწილდა სულ 232 857 საქმე, მათ შორის 142 761 განაწილდა შემთხვევითი განაწილების პრინციპით, რაც შეადგენს განაწილებული საქმეების 61,30%-ს. 2021 წელს სამივე ინსტანციის სასამართლოში განაწილდა სულ 294 033 საქმე, მათ შორის, 187,106 განაწილდა შემთხვევითი განაწილების პრინციპით, რაც

შეადგენს განაწილებული საქმეების 63,6%-ს. 2022 წელს, სულ განაწილდა 310 082 საქმე, მათ შორის 182 217 საქმე შემთხვევითი განაწილების პრინციპით, რაც შეადგენს განაწილებული საქმეების 58,8%-ს. 2023 წელს, სამივე ინსტანციის სასამართლოში განაწილდა სულ 297 564 საქმე; მათ შორის: შემთხვევითი განაწილების პრინციპით განაწილდა 171 809 საქმე, რაც შეადგენს განაწილებული საქმეების 57,7%-ს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მიხედვით, საქმეები პირდაპირ მოსამართლეზე ნაწილდება მხოლოდ ორ შემთხვევაში:

- საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ერთხელ უკვე იყო განაწილებული მოსამართლეზე შემთხვევითი ელექტრონული განაწილების გზით, სასამართლოში განმეორებითი სარჩელის/საჩივრის/განცხადების/სხვა დოკუმენტის შეტანის შემთხვევაში, ისინი პირდაპირ ნაწილდება შესაბამის მოსამართლეზე;
- საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპით არ ნაწილდება, როდესაც: შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს; რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა; რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს.

3. სასამართლო სისტემის გადატვირთულობის დაძლევის მიზნით გატარებული ღონისძიებები

სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ დგას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის - განსახილველ საქმეთა გადატვირთულობის წინაშე, რომლის გადაწყვეტაც სისტემურ მიდგომასა და კომპლექსურ, გეგმაზომიერ ნაბიჯებს მოითხოვს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

3.1. მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა

სასამართლო სისტემის დატვირთულობის შემცირების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის პრიორიტეტია სასამართლო სისტემის მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით დაკომპლექტება.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს, კერძოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს, დაემატა მოსამართლის 25 საშტატო ერთეული. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში მოსამართლის 412 საშტატო ერთეულია, საიდანაც 108 საშტატო ერთეული ვაკანტურია.

2020 წლის დასაწყისისათვის პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში თანამდებობაზე განწესებული იყო 289 მოსამართლე. საანგარიშო პერიოდში იუსტიციის უმაღლესის საბჭოს მიერ თანამდებობაზე განწესდა 61 ახალი მოსამართლე.

რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 49 მსმენელი ჩაირიცხა. მსმენელთა მიერ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსის

დასრულების შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამოაცხადებს მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსს.

გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრის მიზნით კვლავ დიდი ყურადღება ექცევა სასამართლო სისტემის დაკომპლექტებას სათანადო რაოდენობის მოხელეებით. საანგარიშო პერიოდში სამივე ინსტანციის საერთო სასამართლოების აპარატის მოხელეთა საშტატო რაოდენობა გაიზარდა 135 ერთეულით. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულ სასამართლოებში არის პროფესიული საჯარო მოხელის 1681 საშტატო ერთეული, საიდანაც შევსებულია 1454 საშტატო ერთეული.

3.2. დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პრაქტიკაში დამკვიდრების ხელშეწყობა

სასამართლო სისტემისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარების ხელშეწყობა, ვინაიდან იგი წარმოადგენს საერთო სასამართლოების მომეტებული საქმეთა ნაკადისაგან განტვირთვის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას.

ამ მიზნით, გაეროს განვითარების ფონდის პროგრამასთან (UNDP) აქტიური თანამშრომლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სასამართლო მედიაციის პროგრამის შესაბამისად, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ სასამართლოებში შესწავლილ იქნა სასამართლო მედიაციის ამოქმედებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე, სასამართლოებში შეიქმნა მედიაციის ცენტრები/სივრცეები და განხორციელდა მათი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა. საანგარიშო პერიოდში მედიაციის სივრცეების მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოები დასრულდა 17 სასამართლოში. საერთო ჯამში, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საერთო სასამართლოებში შექმნილია 20 მედიაციის ცენტრი/სივრცე თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო, მცხეთის, ახალციხის, თელავის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, გორის და აბროლაურის რაიონულ სასამართლოებში, ასევე ჭიათურის, თერჯოლის, საგარეჯოს, ქარელისა და დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასამართლოებში.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მედიატორთა რიცხვი.

UNDP-სთან აქტიური თანამშრომლობითა და მათი დაფინანსებით 2021 წელს შეიქმნა სასამართლო მედიაციის ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობითაც საქმეების გადაცემა სასამართლოდან მოხდება ელექტრონულად, სასამართლო საქმისწარმოების პროგრამის საშუალებით. მოსამართლე (მოსამართლის აპარატი) საქმისწარმოების პროგრამაში ელექტრონულად მიიღებს ინფორმაციას მედიაციაში საქმის სტატუსის და შედეგის შესახებ. პროგრამის საშუალებით შესაძლებელია სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა ნაკადის თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის მიღება. პროგრამა არეგულირებს მედიატორთა ანაზღაურების დაანგარიშებისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ შესაბამისი თანხების ანაზღაურების პროცესს.

მოქალაქეებისათვის მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების გამარტივების მიზნით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ინიცირებით და მხარდაჭერით, საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ერთად 2022 წლის ოქტომბერში შემუშავდა QR კოდი, რომელიც მოქალაქეს აძლევს შესაძლებობას მედიაციის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს მედიატორთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდიდან, QR კოდის მარტივად დასკანერებით. QR კოდის გამოყენების სისტემა უკვე ამოქმედებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო კოორდინირებულად თანამშრომლობს მედიატორთა ასოციაციასთან და იღებს მედიატორთა საჭიროებებზე მორგებულ გადაწყვეტილებებს. მედიატორთა ასოციაციის ინიციატივის საფუძველზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა სასამართლო მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორის მიერ ანაზღაურების გარეშე (Pro Bono) ყოველწლიურად 2 საქმის ნაცვლად 1 საქმეზე სასამართლო მედიაციის წარმართვის ვალდებულება. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება ემსახურება სასამართლო მედიაციის პროცესში ჩართული მედიატორის წახალისებასა და მოტივაციის გაზრდას.

4. საერთო სასამართლოებში შემოსულ საქმეთა რაოდენობა და საქმეთა განხილვის მაჩვენებლები

- **შემოსული და განხილული საქმეების მაჩვენებელი სამივე ინსტანციის სასამართლოებში**

2020-2022 წწ. მიღებული და დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვნად მომატებულია როგორც სასამართლოებში შემოსული, ასევე, სასამართლოებში დასრულებული (განხილული) საქმეების რაოდენობა. კერძოდ, 2021 წელთან შედარებით შემოსული საქმეების რაოდენობა გაიზარდა 9%-ით, ხოლო განხილული საქმეების რაოდენობა - 12%-ით.

წინამდებარე ანგარიში არ მოიცავს 2023 წლის სტატისტიკურ მონაცემებს, ვინაიდან სტატისტიკურ მონაცემების მოცულობიდან გამომდინარე, კონკრეტული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მომდევნო წლის პირველ კვარტალში სრულდება.

უფრო კონკრეტულად, სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირია:

- **უზენაეს სასამართლოში შემოსული საქმეების და განხილვის მაჩვენებელი**

➢ საქმეთა კატეგორიების მიხედვით განხილვის მაჩვენებელი:

უზენაეს სასამართლოში შემოსული **სისხლის სამართლის** საქმეების რაოდენობა (საკასაციო საჩივარი, საჩივარი) 2022 წელს შეადგენდა 1465 საქმეს; 2021 წელს – 1616 საქმეს; 2020 წელს – 1151 საქმეს. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის მაჩვენებელმა (CR) კი შეადგინა 2022 წელს 100%; 2021 წელს - 125%; ხოლო 2020 წელს - 113%.

უზენაეს სასამართლოში შემოსული **სამოქალაქო საქმეების** (საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, შუამდგომლობა) საერთო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 1784 საქმეს; 2021 წ. – 1525 საქმეს; 2020 წელს – 1586 საქმეს. სამოქალაქო საქმეების განხილვის მაჩვენებელი (CR) კი შეადგენდა 2022 წელს 109%; 2021 წელს - 106%; 2020 წელს - 96%.

უზენაეს სასამართლოში შემოსული **ადმინისტრაციული საქმეების** (საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, განსჯადობა) საერთო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 1512 საქმეს; 2021 წელს – 1221 საქმეს; 2020 წელს – 1368 საქმეს. ადმინისტრაციული საქმეების განხილვის მაჩვენებელმა (CR) კი შეადგინა 2022 წელს 102%; 2021 წელს - 105%; 2020 წელს - 84%.

- **სააპელაციო სასამართლოებში შემოსული საქმეების და განხილვის მაჩვენებელი**

- საქმეთა კატეგორიების მიხედვით განხილვის მაჩვენებელი (სააპელაციო და კერძო საჩივრების მიხედვით):

სააპელაციო სასამართლოებში შემოსული **სისხლის სამართლის** საქმეების რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 3354 საქმეს; 2021 წელს – 3064 საქმეს; 2020 წელს – 2720 საქმეს. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის მაჩვენებელმა (CR) კი შეადგინა 2022 წელს 98%; 2021 წელს - 101%; ხოლო 2020 წელს - 96%.

სააპელაციო სასამართლოებში შემოსული **სამოქალაქო საქმეების** საერთო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 5171 საქმეს; 2021 წელს – 4418 საქმეს; 2020 წელს – 4133 საქმეს. სამოქალაქო საქმეების განხილვის მაჩვენებელმა (CR) კი შეადგინა 2022 წელს 101%; 2021 წელს - 105%; 2020 წელს - 106%.

სააპელაციო სასამართლოებში შემოსული **ადმინისტრაციული საქმეების** საერთო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 3752 საქმეს; 2021 წელს – 3429 საქმეს; 2020 წელს – 3069 საქმეს. ადმინისტრაციული საქმეების განხილვის მაჩვენებელმა (CR) კი შეადგინა 2022 წელს 105%; 2021 წელს - 112%; 2020 წელს - 90%.

- **პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული საქმეების და განხილვის მაჩვენებელი**

- საქმეთა კატეგორიების მიხედვით განხილვის მაჩვენებელი (იგულისხმება მხოლოდ საქმეები შუამდგომლობების, განცხადებების და სხვათა გარეშე):

პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული **სისხლის სამართლის** საქმეების რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 19361 საქმეს; 2021 წელს – 16649 საქმეს; 2020 წელს – 14043 საქმეს. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის მაჩვენებელი (CR) კი შეადგენდა 2022 წელს 94%; 2021 წელს - 91%; ხოლო 2020 წელს - 90%.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული **სამოქალაქო საქმეების** საერთო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 97557 საქმეს; 2021 წელს – 87508 საქმეს; 2020 წელს – 62314 საქმეს. სამოქალაქო საქმეების განხილვის მაჩვენებელი (CR) კი შეადგენდა 2022 წელს 101%; 2021 წელს - 91%; 2020 წელს - 88%.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში შემოსული **ადმინისტრაციული საქმეების** საერთო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 14918 საქმეს; 2021 წელს – 13760 საქმეს; 2020 წელს – 13347 საქმეს. ადმინისტრაციული საქმეების განხილვის მაჩვენებელი (CR) კი შეადგენდა 2022 წელს 81%, 2021 წელს - 84%; 2020 წელს - 77%.

5. განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

სასამართლოების პერსონალთა სამუშაო და მომხმარებელთა მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით, ინტენსიური სამუშაოები განხორციელდა თბილისის, ფოთის, ქუთაისის, რუსთავის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო, ხელვაჩაურის, სენაკის, სამტრედიის, გორის, ბოლნისის, ხაშურის, ამბროლაურის, ახალციხის, თელავის, გურჯაანის, ზესტაფონის, მცხეთის რაიონულ და ქობულეთის, ხობის, შუახევის, ახმეტის, საგარეჯოს, ჭიათურის, დედოფლისწყაროს მაგისტრატ სასასამართლოებში. კერძოდ, განხორციელდა სასამართლო შენობების და ეზოების რეაბილიტაცია (მათ შორის, შენობების გადახურვა, ფასადების მოპირკეთება, გარე სივრცის გამწვანება, და ასფალტით მოპირკეთების სამუშაოები); გაიმართა

სასამართლოს შენობებში წყლის მომარაგება-მიწოდება, მოეწყო სადრენაჟე წყალგადამყვანი სისტემები, განხორციელდა სასამართლოს შენობისთვის სარეზერვო ელ. კვების წყაროების - გენერატორების სიმძლავრეების ოპტიმიზაციის სამუშაოები; დამონტაჟდა სახანძრო სისტემები; გაუმჯობესდა სასამართლოების შიდა ინფრასტრუქტურა - გარემონტდა სხდომათა დარბაზები და აღიჭურვა ინვენტარით, მოეწყო ბავშვზე მორგებული გარემო და სამედიაციო სივრცეები; მნიშვნელოვანი სამუშაოები გატარდა სასამართლოს შენობების შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებზე ადაპტირების მიზნითაც.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის პროექტირებაც. საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა 9-სართულიანი ნაგებობა იქნება, რომლის საპროექტო განაშენიანების საერთო ფართობი 25677 კვ.მ-ს, ხოლო თავად სასამართლოს შენობის ფართობი - 25455 კვ.მ-ს შეადგენს.

პროექტით გათვალისწინებულია 52 სასამართლო დარბაზის (მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 25 დარბაზის, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22 დარბაზის და ნაფიც მსაჯულთა 5 დარბაზის), მოსამართლეთა 80 სამუშაო ოთახის, საკონფერენციო დარბაზების, ბიბლიოთეკის და მოქალაქეთა მომსახურების სფეროების მოწყობა.

2022 წელს დასრულდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს არსებული და ახლად გადმოცემული შენობის პროექტირებაც. პროექტის მიხედვით დაგეგმილია არსებულ სასამართლოს შენობაში დამატებითი სხდომათა დარბაზების, ახალი სამუშაო სივრცეებისა და საპარკინგე ტერიტორიის მოწყობა, ასევე, გარე ტერიტორიის სრული რეკონსტრუქცია - კეთილმოწყობა. გარდა ამისა, განხორციელდება თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის გადმოცემული შენობის რეკონსტრუქციაც, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა თორმეტი ახალი სივრცე, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება მოქალაქეთა მისაღების, სასამართლო დარბაზების, მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სამუშაო ოთახებისა და საკონფერენციო დარბაზისთვის განკუთვნილი სივრცეები.

აღნიშნული შენობების სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2024 წელს დაიწყება.

6. ინფორმაციული ტექნოლოგიების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში შემდეგი სამუშაოები განხორციელდა:

- გაფართოვდა საერთო სასამართლოების ფაილური საცავი, რადგან ძველ ფაილურ საცავში არ იყო ხელსაყრელი გარემო ფაილების შესანახად და ამასთან, დარჩენილი მოცულობა ვერ უზრუნველყოფდა მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. შესაბამისად, განხორციელდა ახალი აპარატურის მონტაჟი და კონფიგურაცია ცენტრალურ სასერვეროში და ორგანიზება გაეწია საქმის წარმოების სრული ფაილების (17 მილიონამდე ფაილის) გადატანას გაფართოებულ საცავში. განახლდა ვიდეო ჩამწერი სისტემის სერვერული ნაწილი და პროგრამული უზრუნველყოფა;
- გაუმჯობესდა არსებული სერვერული ინფრასტრუქტურა - ცენტრალურ სასერვერო სისტემაში დაინერგა ჰიპერკონვერგირებული (Hyperconverged) გადაწყვეტილება. განხორციელდა ცენტრალური ბაზისა და საქმის წარმოების პროგრამების სერვისების ახალ სერვერზე გადატანა.
- მოწესრიგდა ქსელური ინფრასტრუქტურა, კერძოდ, რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში ახალი თაობის უსაფრთხოების სისტემის საშუალებით საეჭვო არხებზე მოხდა წვდომის შეზღუდვა, ჩაირთო და დაინერგა Anti-Bot, IPs, Anti-dDos ინსტრუმენტები, მოწესრიგდა მარშრუტიზატორები - შემცირდა მოწყობილობების დატვირთვა, გაიზარდა სასამართლოებს შორის კავშირის სტაბილურობა და უსაფრთხოების დონე;
- სასამართლოებში არსებული ელექტრონული სერვისების დაცულობის ამაღლების მიზნით, დაინერგა და განახლდა უსაფრთხოების სისტემები - შეძენილ იქნა საერთო სასამართლოებში არსებული ანტივირუსული პროგრამის (bitdefender gravityzone business security) ლიცენზია. ამასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს მოძველებული ქსელური მოწყობილობების გამოცვლის სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოებს შორის ინფორმაციის გაცვლას;
- განხორციელდა აუდიო-ვიდეო მოწყობილობების ოპტიმიზაცია - მთელი საქართველოს მასშტაბით საერთო სასამართლოებში განახლდა როგორც ვიდეო ჩამწერი სისტემის სერვერული ნაწილი, ასევე პროგრამული უზრუნველყოფა (Avigilon Inc-ის ბოლო 7.0 ვერსიამდე);
- თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეიცვალა სატელეფონო სისტემა - სასამართლო სრულად გადავიდა VoIP სატელეფონო კავშირზე;
- საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, შემუშავდა გადახდისუუნარობის საქმეზე გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შერჩევის მოდული;
- მიმდინარეობს საქმის წარმოების ახალი პროგრამის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგ. მომსახურებაზე ორიენტირებული და მრავალშრიანი არქიტექტურა, სტატისტიკისა და Business Intelligence მოდული და ა.შ:
    - შემუშავებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოების მიმართულებით ძირითადი მოდულების 70%;
    - სატესტო რეჟიმში ამოქმედებულია პროკურატურიდან შუამდგომლობების და თანდართული მასალების ელექტრონულად

გადმოგზავნის და პროკურატურისთვის განჩინების გადაგზავნის სერვისები;

- შემუშავდა და დაინერგა დისციპლინური სამართალწარმოების მოდული, რომელიც ინტეგრირებულია უზენაესი სასამართლოს საქმისწარმოების პროგრამაში. აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს დისციპლინური საქმეების სადისციპლინო პალატაში შესაბამისი დოკუმენტის ტიპით და დავის კატეგორიით რეგისტრაციას და უზრუნველყოფს საქმისწარმოების კონფიდენციალურობას;
- შეიქმნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ელექტრონული პროგრამა, რომელიც სრულად პასუხობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის თვალსაზრისით.

VII. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობა

1. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის ღონისძიებები

2020 წლის დასაწყისში, COVID პანდემიის გავრცელებით გამოწვეულ კრიზისულ პერიოდში სასამართლო სისტემაში გატარდა მყისიერი და ინტენსიური სამუშაოები სასამართლოების სტაბილური და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. 2020 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საერთო სასამართლოებისა და სასამართლოს მომხმარებელთათვის შეიმუშავა ოთხი რეკომენდაცია, რომელიც ეფუძნებოდა როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, ასევე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამის აქტებს.

რეკომენდაციების შესაბამისად, განისაზღვრა სასამართლოს შენობაში არამიზნობრივი გადაადგილების, სხდომაზე დამსწრე პირთა რაოდენობის, ასევე, შეხვედრების, საჯარო ღონისძიებების, სასწავლო ვიზიტების თუ მოქალაქეთა მიღების შეზღუდვა, დოკუმენტების მოქალაქეთა მისაღებში სპეციალურად განთავსებული ყუთის მეშვეობით მიღება და ვირუსის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი სხვა რეკომენდაციების იმპლემენტაცია. სასამართლოებს მიეცათ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმეთა ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და საქმის სასამართლო განხილვაში პროცესის მონაწილეთა დისტანციური მონაწილეობის უზრუნველყოფის რეკომენდაციები. ამ მიზნით, სასამართლოებში დაინერგა დისტანციური სხდომების პროგრამა - meet.court.ge.

დაიხვეწა და მომხმარებლის მოთხოვნებს მოერგო სასამართლო საქმის ელექტრონული რეგისტრაციის სერვისიც (ecourt.ge). აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის გავრცელებით შექმნილი დაბრკოლებების მიუხედავად, სასამართლოზე მოქალაქეთა მაქსიმალური წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლოს მომხმარებელებს სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისით სარგებლობა პანდემიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ შეეძლოთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის სასამართლოს მომხმარებელთათვის მიწოდების მიზნით, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, მომზადდა საინფორმაციო ვიდეო-რგოლები, რომლებიც გაშუქდა ეროვნული მაუწყებლის მიერ. ზემოხსენებული ღონისძიებების შედეგად, საერთო სასამართლოები სრულად ხელმისაწვდომი იყო და მაქსიმალური ეფექტიანობით ახორციელებდა საქმიანობას.

2022 წლის ზაფხულში, გაუმჯობესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლოების მიმართ გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი მოიხსნა. ამ პერიოდიდან, სასამართლოები, პრაქტიკულად, სრულად დაუბრუნდნენ პანდემიამდელი მუშაობის რეჟიმს.

2. სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა გამჭვირვალე სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და წინაპირობაა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 13 ივნისს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით ახლებურად ჩამოყალიბდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისა და გამოქვეყნების წესი. ცვლილების თანახმად, სასამართლოს მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის სრული ტექსტი შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე ხდება საჯარო ინფორმაცია და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. რაც შეეხება სასამართლო აქტების გამოქვეყნებას, ორგანული კანონით დადგინდა, რომ სასამართლოს მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის დეპერსონალიზებული ტექსტი ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს შესაბამის საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან, კონკრეტულად განისაზღვრა, თუ რა იგულისხმება აქტის დეპერზონალიზაციაში და რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს სრულად დეპერსონალიზებული.

ახალი რეგულაცია 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

3. ვებგვერდებისა და ელექტრონული სერვისების გამართულობის უზრუნველყოფა



საზოგადოების წინაშე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ანგარიშვალდებულებისა და საბჭოს საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით, 2021 წელს ამოქმედდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განახლებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ვებგვერდი. განახლებული ვებგვერდის საშუალებით, დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, ოპერატიულად გაეცნონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის თაობაზე მათთვის საინტერესო ინფორმაციას. ვებგვერდს დამატებული აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა მარტივი საძიებო სისტემა, რომელიც სხვადასხვა პარამეტრებით იძლევა საბჭოს მიერ

მიღებული ყველა დოკუმენტის, მათ შორის, კონსოლიდირებული გადაწყვეტილებების მოძიების საშუალებას.



2023 წელს ამოქმედდა უზენაესი სასამართლოს ახალი ვებგვერდიც. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს განახლებულ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია გაუმჯობესებული ელექტრონული საძიებო პროგრამა და სასამართლოების რუკა, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია მისთვის სასურველი სასამართლოს საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა საქმის ელექტრონული რეგისტრაციის სერვისის (www.ecourt.ge) განვითარების მიმართულებით. საქმის ელექტრონული რეგისტრაციის სერვისი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სასამართლო სერვისების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. სისტემა მომხმარებლებს სარჩელისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების დისტანციურად გაგზავნის, ასევე, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს. აღსანიშნავია, რომ 2020-2022 წლებში, COVID-პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა სისტემის მოხმარებაზე, რაც გამოიხატა როგორც რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობის ზრდაში, ასევე ელექტრონულად წარდგენილი დოკუმენტების რაოდენობაში (იხ. ცხრილი). აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმის ელექტრონული რეგისტრაციის სერვისს დაემატა მეორე და მესამე ინსტანციის სასამართლოებში დოკუმენტების გაგზავნის შესაძლებლობა. სერვისის გაუმჯობესების მხრივ არსებული ხელშესახები შედეგების მიუხედავად, მის შემდგომ განვითარებაზე მუდმივად რეჟიმში გრძელება მუშაობა, რათა პროგრამამ სრულად უპასუხოს მიმდინარე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სისტემის მომხმარებლებისათვის სარჩელის ასლის ელექტრონული დაბრუნების ფუნქციონალის სატესტო რეჟიმში ამოქმედება, რომლის საშუალებითაც სასამართლოს შეეძლება მოსარჩელეს გზავნილთან ერთად ელექტრონულად გაუგზავნოს მოპასუხისათვის გასაგზავნი სარჩელის ასლი. აღნიშნული ფუნქციონალი შეამცირებს როგორც პროცედურის ხანგრძლივობას, ისე მატერიალურ რესურს (ქაღალდის გამოყენებას).

ecourt.ge	2017-2020	2020-2023
რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობა	912	6200
გამოგზავნილი სარჩელებისა და სხვა დოკუმენტების რაოდენობა	861	368288

4. სასამართლოების საინფორმაციო ცენტრის შექმნა და ამოქმედება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 18 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებით, სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის შემადგენლობაში შეიქმნა საერთო სასამართლოების საინფორმაციო ცენტრი, რომელიც სასამართლო სისტემის

საქმიანობასა და სამივე ინსტანციის სასამართლოებში მიმდინარე საქმისწარმოებასთან დაკავშირებით (საქმის ნომრის, სხდომის თარიღისა და დარბაზის, სასამართლო ფორმების შესახებ და ა.შ.) სასამართლოს მომხმარებელთათვის დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, გატარდა მთელი რიგი სამუშაოები.

საინფორმაციო ცენტრი 2022 წლის 6 აპრილიდან სრული დატვირთვით შეუდგა ფუნქციონირებას. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით ის 15 ოპერატორით არის დაკომპლექტებული. ცენტრის ოპერატორებს საწყის ეტაპზე ჩაუტარდათ გადამზადება როგორც სამართლებრივ, ისე სასამართლო სისტემის პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობაზე ნათლად მეტყველებს ცენტრში შემავალი ზარების სტაბილური ზრდა. თუ ამოქმედების დღიდან, ყოველდღიურად, ცენტრში შემავალი დაახლოებით 500 ზარი ფიქსირდებოდა, 2022 წლის ოქტომბერში ამ რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა, ხოლო საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ყოველდღიურად, საშუალოდ 1500 ზარი ფიქსირდება. ცენტრი მუშაობს ყოველდღე, მათ შორის შაბათ-კვირას და ოფიციალური დასვენების დღეებში, რაც სასამართლოს მომხმარებელს ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღების შესაძლებლობას აძლევს.

საინფორმაციო ცენტრის მუშაობის ხარისხის კონტროლის მიზნით მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი. მონიტორინგის მიზანს მომსახურების დახვეწა, ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა წარმოადგენს.

5. შშმ პირებისთვის სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციისა და მისი პრაქტიკული აღსრულების უზრუნველსაყოფად, 2020 წლის 14 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ეროვნულ დონეზე განსაზღვრავს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს. აღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 2021 წლის 12 მარტის დადგენილებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა“ დაამტკიცა, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის პროცედურულ მექანიზმებს და ნებისმიერ გონივრულ მისადაგებას იმისათვის, რომ შშმ პირმა სასამართლო საქმისწარმოების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლოს. სტანდარტით განსაზღვრულია ზოგადი რეკომენდაციები მისაწვდომი კომუნიკაციის შესახებ და დადგენილია შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტები. სტანდარტის დაცვის მოთხოვნა ვრცელდება როგორც მოსამართლეზე, ისე სასამართლო საქმისწარმოებაში მონაწილე სასამართლოს აპარატის შესაბამის მოსამსახურეზე, საქმისწარმოების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

ზემოაღნიშნულთან ერთად, კანონით დადგენილი ვალდებულების ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ საერთო სასამართლოების 2021, 2022 და 2023 წლების სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმა სამ ძირითად მიზანს ადგენს, ესენია: 1. შშმ პირთათვის სასამართლო შენობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, 2. შშმ პირთათვის სასამართლო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და 3. საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის გაზრდა. თითოეული მიზნის შესასრულებლად, სამოქმედო გეგმა კონკრეტულ აქტივობებს განსაზღვრავს, მათ შორისაა სარჩელისა და შესაგებლის ფორმების შშმ პირთათვის სრული ადაპტირება, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეთათვის შშმ პირებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება, კონკრეტულ სასამართლოებში შშმ პირებისთვის სრულად ადაპტირებული გარემოს შექმნა და ა.შ.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა შშმ თემსა და შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების, მათ შორის, საერთო სასამართლოების შენობებისა და სასამართლოს ელექტრონული სერვისების ადაპტირების მიზნით საჭიროებების შესწავლისა და სასამართლო ფორმების ხელმისაწვდომობის გაზრდის საკითხების განხილვის მიზნით, 2021 წლის 1 ივნისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ონლაინ შეხვედრა გამართა, რომლისთვისაც მოწვევა 130-მდე ფიზიკურ პირსა და შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციას გაეგზავნა. სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში შშმ პირთა თემის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 28 ივნისს შშმ პირთა თემის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრაც, რომლის ფარგლებშიც გამოითქვა მოსაზრებები და წინადადებები ადაპტირებულ სასამართლო ფორმებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფმა შეიმუშავა ადაპტირებული სასამართლო ფორმების სამუშაო ვერსია, რომლის შესწორებული ვარიანტიც, დამაზუსტებელ კითხვებთან ერთად, 2022 წლის დეკემბრის თვეში შშმ პირთა თემის წარმომადგენლებს გადაეგზავნათ. ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფი 2023 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა შშმ პირთა თემის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული შენიშვნების სასამართლო ფორმებში ასახვაზე. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სასამართლო ფორმებზე მუშაობა დასრულებულია. შემუშავებული ფორმები უახლოეს მომავალში გადაეგზავნება შესათანხმებლად შშმ პირთა თემის წარმომადგენლებს, რის შემდეგაც მათ იუსტიციის უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა სასამართლოს შენობების ადაპტირების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოეწყო მცირე საოფისე სივრცე, რომელიც აღიჭურვა მცირემხედველი და წერა-კითხვის არმცოდნე პირებისთვის პილოტურ რეჟიმში მოქმედი ელექტრონული პროგრამებით. ელექტრონული პროგრამები მცირემხედველ და წერა-კითხვის არმცოდნე პირებს აძლევს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად, მხოლოდ ქართულ ენაზე ხმოვანი გამოხატვით შეადგინონ სასამართლოსთვის მიმართვის მათთვის სასურველი განცხადებები და ასევე ხმოვანი ბრძანებით გაგზავნონ ისინი სასამართლოს კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე. გარდა ამისა, მცირემხედველ ან წერა-კითხვის არმცოდნე პირებს აქვთ საშუალება, გაეცნონ (ხმოვანი ტრანსლაციით) მათთვის განკუთვნილ სასამართლოს ელექტრონულ დოკუმენტაციას. ელექტრონულ პროგრამას დამატებული აქვს მოკლე ტექსტური

შეტყობინების ფუნქციაც, რისი საშუალებითაც, მცირემხედველ ან/და წერა-კითხვის არმცოდნე პირს, ელექტრონული განაცხადით სასამართლოს კანცელარიისთვის მიმართვისას, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინება ეგზავნება იმის დასტურად, რომ მცირე საოფისე სივრციდან რუსთავის საქალაქო სასამართლოში ნამდვილად გადაიგზავნა ელექტრონული განცხადება.

მთელი რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია სხვა სასამართლოებშიც.

აქვე აღსანიშნავია, რომ შშმ პირთათვის სასამართლო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ჯგუფის მიერ ქართული მეტყველების სინთეზატორის (GEOTTS) ჩაშენების შედეგად, საანგარიშო პერიოდში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე ადაპტირდა საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემა (ecd.court.ge), სასამართლო საქმის რეგისტრაციის სერვისი (ecourt.ge) და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალური ვებგვერდი (hcoj.gov.ge).

6. ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით სასამართლო პროცედურების გაუმჯობესება და შესაბამისი გარემოს შექმნა სასამართლოში

საერთო სასამართლოების სისტემაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბავშვის ინტერესებზე მორგებული სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების მიზნით.

„ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად, 2020 წელს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ბავშვზე მორგებული სარჩელის და სასამართლო უწყების ფორმები. სარჩელის ფორმა მოიცავს ბავშვისთვის მარტივად აღსაქმელ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეავსოს სარჩელის ფორმა, სად უნდა ჩააბაროს/გაგზავნოს შევსებული სარჩელი, რას აკეთებს სასამართლო სარჩელის წარდგენის შემდეგ. სასამართლო უწყების ფორმებში კი განმარტებულია, თუ რა მიზანს ემსახურება სასამართლო უწყება, რა მიზანი აქვს სასამართლოში გამოცხადებას და ვის უნდა დაუკავშირდეს ბავშვი კითხვების არსებობის შემთხვევაში.

2020 წლის 11 აგვისტოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ასევე დაამტკიცა „ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტი“, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველ მოსამართლეთა სპეციალიზაციის წესს სპეციალური სწავლების მეშვეობით. სტანდარტით დადგენილია ტრენინგების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველ მოსამართლეთა

სპეციალიზაციის მინიმალურ სტანდარტს და განსაზღვრულია თითოეული ტრენინგის მიზნები. მოქმედი მოსამართლეებისა და იუსტიციის მსმენელებისთვის სტანდარტით განსაზღვრულ თემებზე ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი სკოლა. ტრენინგების გავლის შემდეგ, მოსამართლეს გადაეცემა ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო საქმეების მაღალი სტანდარტით განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2015 წელს დამტკიცებული „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის“ შესაბამისად სპეციალიზებულია 281 მოსამართლე, ხოლო 2020 წელს დამტკიცებული „ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის“ შესაბამისად - 249 მოსამართლე.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა სასამართლოებში ბავშვზე მორგებული გარემოს მოწყობის მიზნითაც. დღეისათვის ბავშვზე მორგებული გარემო მოწყობილია უზენაეს სასამართლოში, ასევე, ქუთაისის სააპელაციო, თბილისის საქალაქო, რუსთავის საქალაქო, ზუგდიდის რაიონულ და ფოთის საქალაქო სასამართლოებში. შენობებში საოფისე ფართის სიმცირის გამო, საანგარიშო პერიოდში, სხვა სასამართლოებში ბავშვზე მორგებული გარემოს მოწყობა ვერ მოხერხდა, თუმცა, ასეთი გარემოს მოწყობა გათვალისწინებული იქნება შესაბამის სასამართლოებში კაპიტალური ან/და სხვა სახის მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში.

7. სასამართლოში გენდერული მგრძნობელობის გაზრდის ხელშეწყობა

მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებასა და სამართლის უზენაესობის განმტკიცებაში ქალ მოსამართლეთა როლის უკეთ წარმოჩენის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯომარის ბიუროს ინიციატივით, 2023 წლის 10 მარტს, საქართველოში პირველად აღინიშნა ქალ მოსამართლეთა საერთაშორისო დღე. ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში" მხარდაჭერით, საქართველოს ქალ მოსამართლეთა ასოციაციასა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ღონისძიებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტები ესწრებოდნენ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ესეების კონკურსში - „ქალები მართლმსაჯულებაში, ქალები მართლმსაჯულებისთვის“. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა სტუდენტებთან განიხილეს გენდერული პერსპექტივების მნიშვნელობა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, ასევე, გაუზიარეს პირადი გამოცდილება პროფესიაში შესვლის და კარიერული განვითარების შესახებ. ღონისძიების დასასრულს კი, ესეების კონკურსის მონაწილეებისა და გამარჯვებულების დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა.

8. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაძლიერება

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა სასამართლო სისტემისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, შესაბამისად, ამ ინსტიტუტის გაძლიერებასა და მისი მასშტაბების ზრდაზე მუშაობა საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად გაგრძელდა.

საანგარიშო პერიოდში ახლებურად ჩამოყალიბდა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლები. კერძოდ, 2021 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით, პირს უფლება მიენიჭა უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების შესრულებაზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ სასამართლოს წარუდგენს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ ინფორმაციათა ერთობლიობას, რომლითაც დადასტურდება, რომ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი კონკრეტულ პერიოდში და ვითარებაში შეცვლა შეუძლებელია ან გამოიწვევს გამოუსწორებელ ზიანს. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, განხორციელებულმა ცვლილებებმა გაითვალისწინა საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე სავალდებულო წესით სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მას ჩაანაცვლებს და შერჩევის პროცესი გაგრძელდება.

აქვე აღსანიშნავია 2021 წლის ივნისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნაფიცი მსაჯულის და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მარეგულირებელი ნორმების გადანაცვლებაც. ცვლილების შედეგად, ნაფიცი მსაჯულის და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესაბამისი მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება ჩაითვლება არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობად. შესაბამისად, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის/ნაფიცი მსაჯულის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე რეაგირების უფლებამოსილება მიენიჭა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარეს და სისხლის სამართლის საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს, რაც მეტად ეფექტიანი და დროული რეაგირების მექანიზმია.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, 2021 წლის აგვისტოში ცვლილება შევიდა მთავრობის დადგენილებაში და განისაზღვრა, რომ ნაფიც მსაჯულად (მსაჯულობის კანდიდატად) სასამართლო პროცესში მონაწილეობის გამო მიღებული ანაზღაურება აღარ გახდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძველი. ცვლილება მოტივირებული იყო სასამართლო პრაქტიკით, რომლის მიხედვითაც, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში მსაჯულობის კანდიდატის უარის თქმის საფუძველს ასევე წარმოადგენდა სოციალური დახმარების მოხსნისგან დამცავი მექანიზმის არარსებობა. კერძოდ, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული კანდიდატის საბანკო ანგარიშზე ნაფიცი მსაჯულისთვის (მსაჯულობის კანდიდატისთვის) დღიური, სამგზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების მიზნით თანხის ჩარიცხვას შესაძლოა გამოეწვია სოციალური დახმარების მოხსნა, რაც განაპირობებდა ამ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა უარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის მიღებაზე. მთავრობის დადგენილებაში გაკეთებული დათქმა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნაფიც

მსაჯულთა შერჩევის პროცესის დაბრკოლებების გარეშე წარმართვასა და სწრაფ მართლმსაჯულებაზე ბრალდებულის უფლების უზრუნველყოფას.

2020-2023 წლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილულია 42 საქმე 46 პირის მიმართ, მათ შორის: 29 საქმეზე 30 პირის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი ვერდიქტი, 13 საქმეზე 16 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი ვერდიქტი.

დეტალური მონაცემები იხ. ცხრილის სახით:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ 2020-2023 წლებში განხილული საქმეების რაოდენობა	
თბილისის საქალაქო სასამართლო	18 საქმე
რუსთავის საქალაქო სასამართლო	7 საქმე
გორის რაიონული სასამართლო	6 საქმე
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	6 საქმე
თელავის რაიონული სასამართლო	3 საქმე
ბათუმის საქალაქო სასამართლო	1 საქმე
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	1 საქმე

VIII. საერთაშორისო თანამშრომლობა

1. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის მიზნით შექმნილ საერთაშორისო და ადგილობრივ მექანიზმებში ჩართულობა

სასამართლო სისტემა აქტიურად იყო ჩართული ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს ინტეგრაციის მიზნით შექმნილ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე არსებულ ფორმატებში:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების 2014-2016 წლების დღის წესრიგის საფუძველზე პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნის დროიდან ჩართული იყო და საანგარიშო პერიოდში აგრძელებდა აქტიურ მონაწილეობას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციასა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ექვსთვიანი და წლიური ანგარიშების მომზადებაში;

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით მართლმსაჯულების სფეროში გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ევროკავშირის ინფორმირების მიზნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების, თავისუფლების და უსაფრთხოების ქვეკომიტეტისა და კომიტეტის ყოველწლიურ შეხვედრებში;

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უმნიშვნელოვანესი შრომა გასწია 2022 წლის 11 აპრილს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის გადმოცემული ევროკავშირის

კანდიდატი ქვეყნის სტატუსის თვითშეფასების კითხვარის საპასუხოდ სასამართლო სისტემის შესახებ ყოვლისმომცველი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის მომზადების თვალსაზრისით. ევროკომისიას დეტალური ინფორმაცია წარედგინა საერთო სასამართლოების სისტემის მოწყობასა და ფუნქციონირებაზე, მათ შორის, სასამართლოების ორგანიზაციასა და მათ იურისდიქციასთან დაკავშირებულ საკითხებზე; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწყობასა და უფლებამოსილებებზე; სასამართლოს ინსტიტუციურ და მოსამართლის ინდივიდუალურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, დაწინაურების, მოსამართლეთა სოციალურ გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებზე; მოსამართლის მიუკერძოებლობასა და დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; სასამართლოს ფინანსურ დამოუკიდებლობასთან, მის ეფექტიანობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ა.შ.

- საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციასთან ერთად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება ევროატლანტიკურ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით საქართველოსა და ნატო-ს პრაქტიკული თანამშრომლობის ინსტრუმენტის - „წლიური ეროვნული პროგრამის (ANP)“ განხორციელებაში მონაწილეობა.

2. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

საანგარიშო პერიოდში სასამართლო სისტემა მჭიდროდ თანამშრომლობდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საზედამხედველო ორგანოებთან:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2020 წელს აქტიურად იყო ჩართული უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმის ფარგლებში საქართველოს წერილობითი ანგარიშის მომზადებასა და პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე განხილვებში. 2021 წლის 26 იანვარს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლის ფარგლებში, საქართველოს ანგარიში იქნა განხილული. სხდომაზე, რომელსაც გაეროს 105 წევრი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლმა, კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა სფეროში განხორციელებული ღონისძიებებისა და გატარებული რეფორმების თაობაზე ანგარიში წარადგინა;

- სასამართლო სისტემა აქტიურ მონაწილეობას იღებდა "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის შესრულების შესახებ საქართველოს მე-5 პერიოდული ანგარიშის შემუშავებაში. 2022 წლის 4-5 ივლისს, ქ. ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში გამართულ მოსმენაზე, ადამიანის უფლებათა კომიტეტს წარედგინა დეტალური ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე, მათ შორის, განხორციელებულ რეფორმებსა და მიღწეულ შედეგებზე;

- მნიშვნელოვანია აღინიშნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2020 წელს აქტიურად იყო ჩართული “რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-9 და მე-10 პერიოდული ანგარიშების მომზადებაში და 2022 წლის 23-24 ნოემბერს გამართულ ზეპირ განხილვაში;

- 2021 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მონაწილეობდა გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის შესრულების მე-3 პერიოდული ანგარიშის მომზადებასა და ანგარიშის პროექტის საპარლამენტო განხილვაში. შემუშავებული ანგარიში საქართველოს მიერ გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტს 2022 წლის 16 დეკემბერს წარედგინა;

- აღსანიშნავია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჩართულობა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე მე-6 პერიოდული ანგარიშის მომზადების პროცესში და შემდგომ, 2023 წლის 8 თებერვალს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წინაშე საქართველოს მიერ წარდგენილი ანგარიშის ზეპირ განხილვაში;

- 2022 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მონაწილეობდა გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის შესრულების მეხუთე და მეექვსე გაერთიანებული სახელმწიფო ანგარიშის მომზადებაში, რომელიც ბავშვის უფლებათა კომიტეტს 2023 წლის 30 აგვისტოს წარედგინა;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტიური ჩართულობით მომზადდა დამატებითი ინფორმაცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ იმპლემენტაციის თაობაზე საქართველოს პირველ ანგარიშთან დაკავშირებით შშმ პირთა უფლებების კომიტეტის მიერ შემუშავებულ საკითხთა ჩამონათვალზე, რომელიც სახელმწიფომ კომიტეტს 2021 წელს წარუდგინა. 2023 წლის 9-10 მარტს, სასამართლო სისტემის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მიერ წარდგენილი პირველი ანგარიშის ზეპირ განხილვაში. კომიტეტს დეტალური ინფორმაცია წარედგინა შშმ პირთათვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

სასამართლო სისტემა თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ორგანოებთან:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად იყო ჩართული ტრეფიკინგის საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფისთვის (GRETA), საქართველოს შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით, ევროპის საბჭოს ”ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ იმპლემენტაციის თაობაზე ინფორმაციის წარდგენის პროცესში;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონაწილეობით, 2021 წელს, „სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების სამოქმედო გეგმის“ განხორციელების ანგარიშის მომზადების მიზნით, ევროპის საბჭოს სამართლებრივი თანამშრომლობის კომიტეტს (CDCJ) წარედგინა ინფორმაცია საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში 2016-2021 წლებში განხორციელებული სისტემური რეფორმების თაობაზე;

- წლების მანძილზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფთან (GRECO). 2020-2023 წლებში ორგანიზაციას რამდენჯერმე წარედგინა ინფორმაცია შეფასების მეოთხე ციკლის ფარგლებში მოსამართლეთა მიმართ კორუფციის პრევენციის თვალსაზრისით გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;

- საერთო სასამართლოების სისტემას, ხანგრძლივი და მჭიდრო თანამშრომლობის ისტორია აქვს ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიასთან (CEPEJ). ამ თანამშრომლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, CEPEJ-ს წარედგინა სტატისტიკური და ანალიტიკური ინფორმაცია როგორც ევროპული სასამართლო სისტემების შეფასების 2020-2022 წლების ციკლის ფარგლებში ანგარიშების მომზადების, ასევე, აღმოსავლეთ ევროპაში სასამართლო რეფორმის ძალისხმევის შეფასების (Justice Dashboard EaP) მიზნით;

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობის ფარგლებში, 2020-2023 წლებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჩართული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის მომზადების მიზნით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის პროცესში.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ანგარიშგების თვალსაზრისით უზენაესი სასამართლოების მიერ გაწეული საქმიანობა. ზემოაღნიშნულ ფორმატებში ჩართულობასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში უზენაესი სასამართლო აქტიურად მონაწილეობდა სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტისთვის (ECSR) საქართველოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიის დებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წინაშე საქართველოს მიერ რატიფიცირებული კონვენციების იმპლემენტაციის თაობაზე ინფორმაციის წარდგენისა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფისთვის (GREVIO) „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) იმპლემენტაციის თაობაზე ანგარიშგების პროცესში.

3. სხვა სახელმწიფოების სასამართლო ორგანოებსა და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა

სასამართლო სისტემა აქტიურად თანამშრომლობდა სხვა სახელმწიფოთა სასამართლო ორგანოებთან და ინსტიტუტებთან. კარგი პრაქტიკის გაზიარებისა და ურთიერთთანამშრომლობის განვითარების მიზნით, სასამართლო სისტემის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში და ამავდროულად, მასპინძლობდნენ სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებსაც.

პარტნიორი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საანგარიშო პერიოდში მოეწყო მოსამართლეთა და სასამართლო სისტემის სხვა წარმომადგენელთა ვიზიტები ამერიკის შეერთებული შტატების, ნიდერლანდების სამეფოს, პორტუგალიის, ირლანდიისა და ინგლისის სასამართლო ორგანოებსა და სხვა ინსტიტუციებში. თავის მხრივ, სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმების გაცნობისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უმასპინძლეს მალდივის, სომხეთის, მოლდოვას, ისრაელის, უზბეკეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკების, ასევე ტაილანდის სამეფოს დელეგაციებს.

საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის კარგი პრაქტიკის გაზიარების თვალსაზრისით აღსანიშნავია სასამართლო მრჩევლის პროგრამა, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით თბილისის საქალაქო სასამართლოში 2018 წლიდან ხორციელდებოდა და მოსამართლეებს რჩევების მიღებისა და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე ამერიკული გამოცდილების გაზიარების უმნიშვნელოვანეს შესაძლებლობას აძლევდა. ასევე მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევდა სასამართლოს USAID-ის კანონის უზენაესობის პროგრამა, საქართველოში ამერიკელი მოსამართლეების ვიზიტებისა და მათ მიერ ქართველი მოსამართლეებისთვის მენტორობის გაწევის გზით. ასეთი მენტორობის პროგრამა ხორციელდებოდა 2023 წელს რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის, თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში. ვიზიტის ფარგლებში, მოსამართლეები თავშესაფრის მაძიებელთა საქმეებზე პრაქტიკას, საიმიგრაციო სამართალწარმოების სტანდარტებსა და პროცედურულ მიდგომებს გაეცნენ. ვიზიტი 2022 წლის სექტემბერში, საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ორგანიზებით გაიმართა.

ყირგიზეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის დელეგაციის 2022 წლის 20 იანვრის ვიზიტი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ვიზიტის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა სტუმრებს კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით სასამართლო სისტემაში განხორციელებული რეფორმები გააცნეს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტის, რობერტ სპანოს, მოსამართლე ლადო ჭანტურიას და სასამართლოს მეხუთე სექციის რეგისტრის, ვიქტორ სოლოვეიჩიკის 2022 წლის 6 ივლისის ვიზიტი უზენაეს სასამართლოში. შეხვედრაზე განხილულ იქნა საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების დაახლოების პროცესის ხელშეწყობის მნიშვნელობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების გამოყენების პრაქტიკა და ხაზი გაესვა ევროპული სტანდარტების ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესს.

მოსამართლეთა ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვიზიტის მონაწილეები დაესწრნენ ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებს, შეხვდნენ ამერიკელ ექსპერტებს და გაეცნენ არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოების საუკეთესო პრაქტიკას. ვიზიტი 2022 წლის სექტემბერში, USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა.

საქართველოს უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების, ზუგდიდის რაიონული და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მენეჯერების სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოში - ამსტერდამის, ჰააგისა და დენ ბოშის სასამართლოებში. შეხვედრის ფარგლებში, დისკუსია გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამართალწარმოების ხანგრძლივობის უკეთ მართვა, მონაცემებისა და სტატისტიკის გამოყენება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, სასამართლოებისა და მათი ბიუჯეტების მართვა და ორგანიზება, საჩივრების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე, სამართალწარმოების გაციფრულება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. ვიზიტი 2022 წლის 25-27 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს მართმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) ორგანიზებით გაიმართა.

ტაილანდის სამეფოს მოსამართლეთა დელეგაციის 2023 წლის 15 ივნისის ვიზიტი უზენაეს სასამართლოში. ქართველმა მოსამართლეებმა ტაილანდელ კოლეგებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეთა განხილვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების თაობაზე.

ტაჯიკეთისა და უზბეკეთის სამინისტროსა და ადვოკატთა ასოციაციის, ასევე ტაჯიკეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 2023 წლის 10 აგვისტოს ვიზიტი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

დელეგაციის წარმომადგენლებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემისა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმეთა განხილვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების თაობაზე.

სომხეთის სასამართლოს დელეგაციის 2023 წლის 17 ოქტომბრის ვიზიტი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და დელეგაციის წევრებმა შეხვედრაზე საერთო სასამართლოების სისტემაში ბოლო წლებში განხორციელებულ რეფორმებსა და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეების, ასევე, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში სისხლის სამართლის მიმართულებით მოღვაწე პროფესორების 2023 წლის 25 სექტემბრის ვიზიტი უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარემ და მოსამართლეებმა დელეგაციის წევრებს მიაწოდეს ინფორმაცია პალატის საქმიანობისა და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროში მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. შეხვედრის ფარგლებში ასევე განხილულ იქნა ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან ურთიერთობების გააქტიურების და პროფესიული კავშირის გაძლიერების აუცილებლობა.

IX. სამომავლო გეგმები

მიღწეული ხელშესახები შედეგების მიუხედავად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან სასამართლო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური დაახლოების უზრუნველსაყოფად. მათ შორის, გაგრძელდება მუშაობა სოციალური დაცვის გარანტიების გაძლიერების გზით მოსამართლეთა დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე; სასამართლოს გადატვირთულობის გამოწვევის გადაჭრის მიზნით მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთა ოპტიმალური რაოდენობის უზრუნველყოფასა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობაზე; სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებასა (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომების დანერგვის გზით) და მოსამართლეთა/სასამართლოს მოხელეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე; სასამართლოს მიმართ ნდობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და სასამართლო საქმისწარმოებაშიელექტრონული საშუალებების გამოყენების პრაქტიკის ხელშეწყობაზე.